# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 16 მარტი. 2023 წ. №31 (9563) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

# იდიოტიზმი



ამას წინათ პარლამენტის ტრიბუნიდან ორმა „ხალხის რჩეულმა“ დეპუტატმა, გაურკვეველი ეროვნებისა და სადაურობის არსებებმა **ხათუნა სამნიძემ** და **რომან გოცირიძემ**, იგივე კუპონამ, განაცხადეს:

**პარლამენტის წინ რაღაც მახინჯი რკინის კონსტრუქცია რომ დგას, ე. წ. წმინდა ნინოს ჯვარი, ნერვებს გვიშლის და უნდა აიღოთო, მითუმეტეს, რომ მის დადგმაზე ქალაქის მერიას ნებართვა არ გაუციაო!**

**ვის უშლის ნერვებს და ვის ემართება ელეთმელეთი ჯვრის დანახვისას? ეშმაკს და მაცილს! ჩვენ თუ იდიოტიზმის ვირუსი არ გვაქვს შეყრილი, როგორ ვაჩერებთ პარლამენტში ამ და მათ მსგავს სატანისტებს? ამაზე შორს ხალხის გამოთაყვანება ვერ წავა! მართალი ყოფილა, აინშტაინი რომ ამბობდა: სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროაო.**



იხ. 6-7 გვ.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

3

## რადგან „ვენეციის კომისია“ კანონპროექტს აკრიტიკებს, ე. ი. ძალიან კარგი ყოფილა!



7

## დავით ზარდიაშვილი: 50 წლის კაცს ეუბნებოდა ერთი ე. წ. სტუდენტი: შენ მალე მოკვდები და ჩვენ გვაცალეთ ევროპაში შესვლაო – ესაა ფაშიზმი!

## ჭორებს არ დაუჯეროთ!

## მმართველ გუნდში განხეთქილება ხდება?!



3

მამუკა მდინარაძე:

## არ შეიძლება, სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი

2



იხ. 2 გვ.

## 14 მარტის აქციაზე თვითნებურად მოქმედებდა სასულიერო პირი, რომელიც არღვევდა საეკლესიო კანონიკას!

შეცდომის გასწორება უნდა მოვახერხოთ!

## ქართული ჟურნალისტიკის დღე – 20 მარტი, და არა 21!

5

## გულით ვთამაშობ... მაგრამ ტვინის გარეშე უკეთესი ვერასოდეს გახდები

იხ. 10 გვ.

## ხვიჩა კვარაცხელია



# მამუკა მდინარაძე: არ შეიძლება, სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი



„საქართველოს ევროპული მომავალი ვერ იქნება სააკაშვილი და მისი ქმედებები, მისი წარსული, მისი აწმყო და მომავალი. სააკაშვილი არის ამ ქვეყნის ბნელი წარსული. ადამიანს შეუძლია, მეტი შეჭამოს და მისი ე.წ. პრობლემა აღმოიფხვრას. მის ჭამასა და კუჭზე თუ ვართ დამოკიდებული, მაშინ ამ ქვეყანას მომავალი არ ჰქონია. ამ ქვეყანას მომავალი აქვს.

ამ ქვეყანას ვერც სანქციას დააკისრებს ვერავინ და ვერც ვერავინ დაემუქრება იმის გამო, რომ სააკაშვილი საჭმელს არ ჭამს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. დაინტერესებული პირებისგან ყოველთვის შეიძლება იყოს ასეთი განცხადებები, მაგრამ რეალობა სხვაა.

არ შეიძლება, სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი და ასეთი რაღაც შთაგონებები, შეგონებები, მუქარები წარმოუდგენელი, დამაზიანებელი, ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელია, რადგან საქართველოს ყველა მოქალაქემ იცის, რომ ეს კაცი არის ბნელი წარსული, იმ სისტემის შემქმნელი, რომელიც პატიმრებს აწამებდა, აუპატიურებდა, კლავდა ციხეში. ასეთი სისტემის შემქმნელ ე.წ. პრეზიდენტის კუჭზე საქართველოს ევროპული მომავალი ვერ გავა“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.



# 14 მარტის აქციაზე თვითნებურად მოქმედებდა სასულიერო პირი, რომელიც არღვევდა საეკლესიო კანონიკას!

# „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატორების“ ქაჯობის საპასუხოდ!

საქართველოს საპატრიარქო 14 მარტს პრორუსული მოძრაობის მიერ პარლამენტთან გამართული აქციის შესახებ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საპროტესტო აქციაზე ერთ-ერთი სასულიერო პირი საეკლესიო კანონიკის დარღვევით მოქმედებდა.

„რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გაკეთდა განცხადება, სადაც სასულიერო პირებს რადიკალური და საზოგადოებაში პოლარიზაციის ხელშემწყობი პოზიციების საჯაროდ გამოხატვისაგან თავის შეკავებისაკენ მოვუწოდეთ. მიუხედავად ამისა, გუშინ, 2023 წლის 14 მარტს, გამართულ საპროტესტო აქციაზე თვითნებურად მოქმედებდა სასულიერო პირი. მეტიც, ის მოქმედებდა საეკლესიო კანონიკის დარღვევით და მისი მოწოდებები საზოგადოების პოლარიზაციას უწყობდა ხელს.

აღნიშნული სასულიერო პირი არ მიეკუთვნება მცხეთა-თბილისის ეპარქიას და მის მღვდელმთავარს რეაგირებისთვის გაეგზავნა შესაბამისი წერილი. აღვნიშნავთ, რომ ქვეყნისათვის რაიმე სიკეთის მოტანა სრულიად წარმოუდგენელია, „მოლოტოვის კოქტეილების“ საშუალებით, სამართალდამცავებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და პარლამენტის შენობაში ხანძრის გაჩენის მცდელობით, ეს სრულიად მიუღებელია. ასევე მიუღებელია ის, რაც გუშინ ვიხილეთ, როდესაც აქციაზე ლოცვასთან ერთად ისმოდა მოქალაქეებისადმი მუქარა.საეკლესიო ეთიკისთვის შეუფერებელია მლოცველი ადამიანისაგან შეურაცხმყოფელი მიმართვები, გინება და, მით უფრო, ქვების სროლა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, დღეს საქართველოს განსაკუთრებულად სჭირდება მშვიდობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მიმართულებით. ყოველი ძალადობრივი ფაქტი, პოლარიზებისა და შფოთის მცდელობა, დაუბალანსებელი მოწოდება, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს ის ნაკარნახევი, ეკლესიისგან შორს დგას. ვლოცულობთ მშვიდობისა და ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისთვის“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

# მიხეილ ყაველაშვილი დათო ტურაშვილს გაუბრაზდა!



დათო ტურაშვილს მივმართავ, მე-17 თუ მე-18 სართულზე რომ ზის და „ხალხის ძალას“ გვაბრალებს რუსული ძალა ხართო და აღიარეთო. დათო შენ კარგად მიცნობ მე, დათო კაჭარავას იცნობ, ვიქტორ სანიკიძესაც, კახა კალაძესაც და კობიაშვილსაც...

მხრებით გვიტარებია ჩვენი დროშა, ჩვენი მიწა და ღირსება. ცოტა უნდა დაფიქრდე ან უნდა დაამტკიცო. ზიხარ ტელევიზიაში, რომელიც ანწუხელიძის სისხლს ამოფარებული ნაძირლების მიერ ნაშოვნი ფულით არის შექმნილი.

შენი პატრონი კეზერაშვილია, რომელმაც საკუთარი ჯარი გაძარცვა და აი იმ ტელევიზიაში ზიხარ შენ. მე რომ მომიწოდებ პრორუსი ხარ და აღიარეო... ფაქტებია, 2012 წლიდან რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ. იძახი აღიარეთო, რა უნდა ვაღიარო? გამაგებინე.

რომელმა ჩვენმა კოლეგამ თქვა, რომ რაიმე სახით ევროპა ან ევროკავშირი არ გვინდა. ღირსებით ვიცხოვრებთ ჩვენ. წადი აბა შვეიცარიაში, იქ არის ჩემი დატოვებული საქმე, ელჩი ვიყავი მარტო ფეხბურთელი კი არ ვიყავი. იქ არ ჩადიოდი მილანში? დღეს რომ ხართ აღტკინებული ხვიჩა კვარაცხელიაზე, ასევე იყო კახა კალაძეც. გუშინ ხვიჩა კვარაცხელიასაც აგინებდით, შენი ტელევიზიიდან, შენი კოლეგა, ვახო სანაია... პატივს ვცემ, იცის დათომ ჩემი დამოკიდებულება. დამისახელოს ერთი პიროვნება, ვინც იმდენი გააკეთა ამ ქვეყნისთვის, რაც ბიძინა ივანიშვილმა.

# ქუთაისის აეროპორტი ფრთებს იძლიერებს!

**2023 წლის თებერვალში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 59%-ით გაიზარდა. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, თებერვალში, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტით 75,733 მგზავრმა ისარგებლა. (2019 წლის თებერვალი 47,573 მგზავრი).**

მგზავრთნაკადის გარდა, თებერვლის თვეში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ავიარეისების რაოდენობის კუთხითაც ზრდა იყო. თებერვალში აეროპორტში რეისები 63%-ით გაიზარდა და 256 რეისს მოემსახურა.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ხუთი ავიაკომპანია 17 ქვეყნის 28 მიმართულებით ოპერირებს.

გაერთიანების ცნობითვე, 2023 წლის ივნისიდან ავიაკომპანია WIZZ AIR ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მესამე ბაზირებულ ხომალდს დააბრუნებს და რეგულარული რეისების შესრულებას მადრიდის, ბრიუსელის, ფრანკფურტის, ჰამბურგისა და პოზნანის მიმართულებით დაიწყებს. 2023 წლის 4 ივნისიდან კი ყაზახური დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია Fk.Ah.cnfy პირდაპირ რეგულარულ რეისებს ალმათი-ქუთაისი-ალმათის მიმართულებით შეასრულებს.

# მარო მაყაშვილის სახელობის სტიპენდია – წყლის ჭავლთან მოცეკვავე გოგონას

**16 წლის სალომე კენჭიაშვილი, რომელიც საზოგადოებამ 8 მარტის საპროტესტო აქციიდან გაიცნო, მარო მაყაშვილის სახელობის სტიპენდიას მიიღებს,** – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე სოციალურ ქსელში წერს.

**„გურული დღიურების ფონდი აფუძნებს ახალ სტიპენდიას, რომელიც მარო მაყაშვილის სახელობის იქნება. პირველ სტიპენდიას მიიღებს სალომე კენჭიაშვილი, გოგო, რომელიც აქციის დაშლისას წყლის ჭავლზე ცეკვავდა – ტაეკვანდოს ოსტატი და კარგი მოსწავლე. ეს იქნება ჩემი მოკრძალებული თანაგანცდის ნაბიჯი მისი თაობის მიმართ და იგულისხმებს ერთი წლის მანძილზე გარკვეულ წახალისებას სწავლის მიმართულებით.**

**მე აღფრთოვანებული ვარ ამ გოგოთი, რაც რადიო თავისუფლების სიუჟეტი ვნახე. მაგრამ ვინც თაობის ნაწილის გაუნათლებლობაზე წუხართ, დაეხმარეთ განათლების მიმართულებით, ვინც ფიქრობს, რომ ნაწილი მათგან სხვა მხრივ აღზრდას საჭიროებს, გაუწოდეთ ხელი ამ მიმართულებით. მოდის ძალიან კარგი და ნიჭიერი თაობა, საკუთარი ხარვეზებით და სირთულეებით, მაგრამ დიდი უპირატესობით – თავისუფლების ბუნებრივი განცდით“,** – წერს გიორგი კეკელიძე.



# ქართული არტილერიის დღეა



**15 მარტს საქართველოს თავდაცვის ძალებმა არტილერიის დღე აღნიშნეს. ქართული არტილერიის 30 წლის იუბილე აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარდლობებში საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვაზიანის მეხუთე და ხონის მეექვსე საარტილერიო ბრიგადებში არტილერისტებს იუბილე სარდლობების წარმომადგენლებმა მიულოცეს. ღონისძიების ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეებმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ არტილერისტთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალიც. სამხედრო მოსამსახურეებს უმწიკვლო სამსახურისთვის და უწყების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მედლები, საპატიო სიგელები და სამახსოვრო დაფები გადასცეს.

მეხუთე საარტილერიო ბრიგადის ბაზაზე ღია კარის დღეც გაიმართა. თბილისის კერძო სკოლების მოსწავლეებმა ქვედანაყოფში არსებული საარტილერიო ტექნიკა და შეიარაღება დაათვალიერეს. არტილერიის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად მათი ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ.



# მმართველ გუნდში გადაჯგუფება ხდება?

**აგენტების კანონის ირგვლივ, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობა პარტიის შიგნით უკვე არსებობდა და ეს 7 მარტს გამოჩნდა, როცა რამდენიმე დეპუტატმა კანონპროექტის მხარდაჭერისგან თავი შეიკავა.**

ესენი არიან: **ირაკლი მეძმარიაშვილი, დავით სერგეენკო, ქეთევან დუმბაძე** და **ვლადიმერ ჩაჩიბაია**. მოგვიანებით, ირაკლი მეძმარიაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განმარტა, რომ კანონპროექტს მხარი ტექნიკური პრობლემის გამო ვერ დაუჭირა. ამ თემაზე ასევე კომენტარი გააკეთა ქეთევან დუმბაძემ. მანაც კენჭისყრაში მონაწილეობის ვერმიღება ტექნიკური ხარვეზით ახსნა.

თუმცა პარლამენტის კენჭისყრის ანგარიშის ფორმულირებით, სხდომას არ ესწრებოდნენ „ქართული ოცნების“ წევრები: **ელგუჯა გოცირიძე, ირაკლი კოვზანაძე** და **გიორგი ხელაშვილი,** თუმცა ვიდეოკადრებში ჩანს, რომ კენჭისყრის დროს დეპუტატი ხელაშვილი სხდომათა დარბაზში იყო და დარბაზს კენჭისყრის დასრულების შემდეგ ტოვებს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ოცნებიდან“ მინიმუმ 6 დეპუტატს ან გაუშვებენ, ან საკუთარი სურვილით წავლენ: **ირაკლი კოვზანაძე, გიორგი ხელაშვილი, ვლადიმერ ჩაჩიბაია, ნინო იოგაშვილი, დავით სონღულაშვილი, დავით სერგეენკო.**

ანალიტიკოსები ამ სცენარს რეალურად მიიჩნევენ და არ გამორიცხავენ, რომ ამის შედეგად საპარლამენტო უმრავლესობის არსებობაც კითხვის ქვეშ დადგეს. თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ ამ დეპუტატებმა მანდატებიც დატოვონ, რის შემდეგაც ხელისუფლება მათ ადგილას სხვა დეპუტატებით ჩაანაცვლებს.

**საქართველოს პარლამენტში სულ 150 ადგილია და შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებისათვის საჭირო დეპუტატთა მინიმალური რაოდენობა 76-ია. ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობაში 83 დეპუტატი შედის, საიდანაც 74 მმართველი პარტია „ქართული ოცნების“, ხოლო 9 კი – მისგან გამოყოფილი „ხალხის ძალის“ წარმომადგენელია.**

აქედან გამომდინარე, თუკი „ქართულ ოცნებასა“ და, შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობას 8 ან მეტი დეპუტატი დატოვებს, ეს შესაძლოა საპარლამენტო კრიზისის დასაწყისი გახდეს, რადგანაც უმრავლესობის არსებობა კითხვის ქვეშ დადგება. ხოლო თუ ეს ასე მოხდა, მაშინ მთავრობა არალეგიტიმურად გამოცხადდება, რაც რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მიზეზიც შესაძლოა გახდეს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ თუკი „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი პარტიიდან წასვლას აპირებს, მაშინ მმართველ გუნდს უმრავლესობის შენარჩუნების ერთადერთი გზა რჩება, დატოვონ ამ ადამიანებმა მანდატი და მათ „ოცნებიდან“ სხვა პოლიტიკოსები ჩაანაცვლებენ.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რატომ ვერ შეძლო ხელისუფლებამ გუნდის შიგნითვე არსებული აზრთა სხვადასხვაობის შეცვლა ე.წ. აგენტების კანონთან დაკავშირებით, ანჯაფარიძე ამბობს, რომ თავიდანვე ჩანდა, რომ ეს კანონპროექტი ასე მარტივად პროცედურებს ვერ გაივლიდა და ის ვნებათაღელვას გამოიწვევდა. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ის რეაქციები რაც დასავლელ პარტნიორებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ, ფაქტი იყო, რომ პრობლემებს შექმნიდა. ამის გათვლა რთული არ იყო.

**„რატომ მიიღეს საბოლოოდ გადაწყვეტილება, რომ პირველ მოსმენაზევე ეს კანონპროექტი გაეტანათ, ჩემთვის აუხსნელია. ან იქნება საკუთარი თავი დაარწმუნეს, რომ პროტესტი ისეთი მძლავრი არ იქნებოდა და ამას გადაატარებდნენ. ვენეციის კომისიას როცა გადაუგზავნიდნენ, ამით პროტესტს ჩაახშობდნენ. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს ესე არ მოხდა. აქედან გამომდინარე, ეს ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი უნდა იყოს, არა მხოლოდ „ოცნებისთვის“, არამედ ნებისმიერი პარტიისთვის, როცა ასეთი წინააღმდეგობრივი კანონპროექტი გაგაქვს, საზოგადოებასთან წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, აქტიური კომუნიკაცია უნდა გაატარო, განსაკუთრებით დაინტერესებულ ჯგუფებთან. ყველაფერმა ერთად იმუშავა, რადგან ფაქტია, ოპოზიციამ საზოგადოებასთან კომუნიკაცია უფრო მოახდინა და იმ ფორმით მიიტანა, როგორც თავად სურდა. რა თქმა უნდა, ინტერნეტს ყველა კითხულობს და ნახეს დასავლეთის მხრიდან რა რეაქციაც იყო. ამიტომ ამით ყველამ საკუთარი აზრის ფორმირება მოახდინა, რაც შემდეგ საპროტესტო აქციების სახით გადმოიღვარა“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** კი ფიქრობს, რომ „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატის ასეთი რეაქცია და შესაძლო პარტიის დატოვება ბევრ კითხვას აჩენს. ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ ეს სახელისუფლებო გუნდის თამაშის ნაწილი იყოს და მმართველი გუნდი შესაძლო კრიზისს ხელოვნურად ქმნიდეს, რათა შემდეგ რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს. ასეთ შემთხვევაში, ყველა სოციოლოგიური კვლევით, მიუხედავად საზოგადოებაში არსებული ბოლოდროინდელი განწყობებისა, გამარჯვების შანსი მაინც „ოცნებას“ აქვს, მით უმეტეს თუ ძველი სახეების ახლით ჩანაცვლება მოხდება.

**„არ ვიცი, ბოლომდე მაინც არ მჯერა, რომ ეს 6 თუ 8 დეპუტატი ასე უცბად კონტროლიდან გამოვიდა და მოულოდნელად პარტიის დატოვება გადაწყვიტა. დროში ყველაფერი ძალიან საინტერესოდ ემთხვევა. საქმე კი ისაა, რომ თუკი „ოცნებას“ 8 დეპუტატი მაინც დატოვებს, ხელისუფლება უმრავლესობას კარგავს. ასეთ შემთხვევაში, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება ხელახლა უნდა მოხდეს. დგება მეორე საკითხი, მაშინ ოპოზიციამ 76-მდე კაცი უნდა მოაგროვოს, რომ კოალიციური მთავრობა შეიქმნას, რასაც მგონია, რომ ვერ შეძლებენ. ასვე, პარლამენტში არიან პატარა პარტიები, როლებსაც რიგგარეშე არჩევნები და პარლამენტის დათხოვნა არაფერშიც არ აწყობთ. ამიტომ ეს ვერსია არადამაჯერებელი მგონია. ხელისუფლებას თუ უმრავლესობა არ ექნება, დეპუტატები, რომლებიც პარტიიდან გავლენ, ვფიქრობ, უმრავლესობასთან თემატურად მაინც ითანამშრომლებენ. შესაბამისად, მთავრობის ფორმირების შემთხვევაში მათი ხმების გამოყენება ხელისუფლებას მაინც შეეძლება. ვფიქრობ, აქ სხვა რაღაცა ხდება. ამ ყველაფრის პარალელურად, მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ვიქტორ ყიფიანი ჩნდება. ამბობენ, რომ ის ივანიშვილის ადვოკატი აღარ არის. ის საკმაოდ უცნაურ ინტერვიუს იძლევა კობახიძეზე და მას უკრაინასთან დაკავშირებით რიტორიკას უწუნებს. ასევე რამდენიმე მედიაში საინტერესო ანალიტიკურ წერილებს აქვეყნებს. მე საქმე შემდეგში მგონია: ხელისუფლებაში როტაცია ხდება. ყიფიანი მგონია ზუსტად ის ძალაა, რომელიც არსებულ მმართველ გუნდს ჩაანაცვლებს, ხოლო ეს პარტიიდან გამოსული დეპუტატები კი მისი დასაყრდენი ძალა იქნება. ამაზე მხოლოდ ანალიზის დახმარებით ვსაუბრობ და, რა თქმა უნდა, რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს. ეს ცვლილება უფრო შემოდგომაზე იქნება, ღარიბაშვილს ყიფიანი ჩაანაცვლებს, კობახიძე კი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ გადაინაცვლებს. ვფიქრობ, გადაჯგუფება ხდება და ძველ ძალას ახალი ანაცვლებს“,** – ამბობს ძაბირაძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## თამარ გაბუნია გერმანელ ექსპერტებს და ონკოლოგებს შეხვდა

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია გერმანიის ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებსა და ონკოლოგებს შეხვდა.**

**შეხვედრის მიზანს საქართველოსა და გერმანიას შორის სამედიცინო მიმართულებით ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენდა. გერმანელმა სპეციალისტებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ბერლინის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს, რომელიც ქართველ ახალგაზრდებს გერმანიის სამედიცინო დაწესებულებებში განათლების მიღების საშუალებას მისცემს.**

## რადგან „ვენეციის კომისია“ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტს აკრიტიკებს, ე. ი. ძალიან კარგი ყოფილა!

**„ვენეციის კომისია“ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით შუალედურ მოსაზრებას აქვეყნებს და აცხადებს, რომ საქართველოდან გაგზავნილი დოკუმენტი პერსონალურ მიდგომებს ეფუძნება და არა სისტემურს, რომელიც ინსტიტუციებსა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას მოემსახურებოდა.**

კომისია საკუთარ მოსაზრებაში ორ მიდგომას გამოყოფს: **დოკუმენტში ნათქვამია, რომ „პერსონალური“ მიდგომისას ხდება ადამიანების სპეციფიკური კრიტერიუმებით შერჩევა და მათთვის „ოლიგარქების“ დარქმევა. ამგვარი კრიტერიუმები კი შესაძლოა, იყოს მედიის მფლობელობა, სიმდიდრე და ა.შ., და მიზნად ისახავს მათ გავლენის შემცირებას ეკონომიკურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. კომისია მიიჩნევს, რომ ამგვარი მოდელი აჩენს ადამიანის უფლებების დარღვევის რისკს და მყარი გარანტიების გარეშე, შესაძლოა დაირღვეს პოლიტიკური პლურალიზმისა და კანონის უზენაესობის პრინციპები. ამრიგად, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ ის უპირატესობას ანიჭებს უფრო სისტემურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოსა და ინსტიტუციების გაძლიერებას.**

ამასთან, როგორც „ვენეციის კომისია“ აღნიშნავს, **მიუხედავად იმისა რომ მათი მოსაზრებით პერსონალური მიდგომა ზოგადად პრობლემატურია, არ ნიშნავს, რომ მისი ყველა ელემენტი და მიდგომა არალეგალურია.**

კომისია მიუთითებს, რომ **კანონპროექტით განსაზღვრული ზოგიერთი ნორმით შესაძლოა, დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული პრინციპები და აღნიშნავს, რომ დოკუმენტი ზედმეტად დიდ გავლენას აკისრებს მთავრობას აღნიშნულ პროცესზე.**

კომისიის შუალედურ ანგარიშში ნათქვამია, რომ **პოტენციური „ოლიგარქების“ პერსონალური მონაცემების შეგროვების შეფასებისა და დამუშავების პროცესში შესაძლოა, დაირღვეს კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი ცხოვრების უფლება), ხოლო მათთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიებსა და დემონსტრაციებში ჩართვის აკრძალვით – მე-10 და 11 მუხლები (გამოხატვის და შეკრების თავისუფლება).**

„ვენეციის კომისია“ ამბობს, რომ მისთვის **ცნობილია, რომ აღნიშნული უფლებები აბსოლუტური არაა და ზოგადად, „ოლიგარქიზაციის“ მავნე ფენომენის გამო, მათი შეზღუდვა შეიძლება, თუმცა აქვე, აცხადებს, რომ კრიტერიუმის ბუნდოვანება ართულებს ამგვარი შეზღუდვების გამართლებას. ამდენად, მაღალ რისკიდან გამომდინარე, „ვენეციის კომისია“ მიიჩნევს, რომ „პერსონალური მიდგომა“, რომელიც საქართველოს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტშია განსაზღვრული, ბუნდოვანი კრიტერიუმების გამო ადამიანების სტიგმატიზებას ეწევა და ადამიანის უფლებათა დარღვევის დიდ რისკს ატარებს დასახული მიზნის შესრულების გარანტიის გარეშე.**

ამასთან, „ვენეციის კომისია“ აცხადებს, **საჯაროდ გაკეთებული განცხადებების ფონზე, კიდევ უფრო დიდია რისკი, რომ მიღების შემთხვევაში აღნიშნული კანონპროექტის გამოყენება ოპოზიციის წინააღმდეგ მოხდება.**

№31. ხუთშაბათი, 16 მარტი, 2023 წელი.

# ესეც მიშას „ახალი საქართველო“!



# არა საქართველოს კოლონიად გადაქცევას

**„მე შევქმენი ახალი საქართველო“! – ამ სიტყვებს მიხეილ სააკაშვილი ხშირად იმეორებს!**

**ჩვენი ღრმა რწმენით, მან მართლაც შექმნა „ახალი საქართველო“, მაგრამ ეს, ახალი საქართველო არის ქვეყნის გამყიდველების, მძარცველების, ყაჩაღების, კორუმპირებულების და მკვლელების საქართველო. საგარეჯოელი მეზობლების მკვლელი, საკუთარმა დედამ**

ამ ფაქტზე მრისხანება ვერ დამალა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, თუმცა დამნაშავეები ვერ დასაჯა (ალბათ არც შეეძლო!.

2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით აუცილებელია გავიხსენოთ ომამდელი პერიოდი: მიხეილ სააკაშვილმა დაანგრია პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შემომტკიცებულ ცხინვალის რეგიონთან მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობა. იგი მოითხოვდა გაეყვანათ სამშვიდობო ძალები, რუსეთიდან გამოიწვიეს საქართველოს ელჩი, ხოლო რუსეთის ელჩი საქართველოდან გააგდეს. ამას დამატებულმა და მტრულმა რიტორიკამ გამოიწვია ომის ბალანსირება ზღვარზე, რასაც სრულიად ლოგიკურად მოჰყვა ომი.

ერთი ფაქტი კიდევ გავიხსენოთ, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა ჩვენს საზოგადოებას.

ქუთაისში აშენებული პარლამენტის შენობა მიწისზედა დიდ ბუნკერს უფრო ჰგავს, ვიდრე პარლამენტის შენობას. ეს შენობა არის ნათელი დადასტურება იმისა, თუ როგორ უყურებენ სააკაშვილი და მისი დასავლეთელი მეგობრები ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. თვით სააკაშვილის მიერ, გაბრაზებულ გულზე, ადრე გაკეთებული განცხადებებით, დასავლეთელი ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩვენს ქვეყანას უყურებს როგორც თავიანთ კოლონიასო.

ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევას ემსახურება უცხო ქვეყნის დაფინანსებით მომუშავე იურიდიულ პირთა შემოსავლების გასაჯაროების შესახებ კანონის პროექტის წინააღმდეგ ასეთი ზღვარგადასული ბრძოლა.

**ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა 2023 წლის 6,7 და 8 მარტს პარლამენტის შენობაში და პარლამენტს გარეთ განვითარებულ მოვლენებს უპასუხებს: არა – საქართველოს კოლონიად ქცევას!, არა – საქართველოს კოლონიზაციას!...**

**ნუგზარ კობახიძე,**
დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში

**რომ არ დაიტირა, სააკაშვილის მიერ შექმნილი საქართველოს ჯარისკაცი იყო.**

საქართველოში სააკაშვილის შემოყვანის დღიდანვე დაიწყო მან ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული საქმიანობა. იმ დროს ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა შეესრულებინა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება – აფხაზეთში სარკინიგზო ხაზის აღდგენასთან ერთად, სინქრონულად, უნდა მომხდარიყო აფხაზეთიდან დევნილების დაბრუნება. დევნილების პირველ ჯგუფს სრულიად უკანონოდ სათავეში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილი. ისინი ცხენებზე ამხედრებულები, დროშების ფრიალით და მუსიკით შევიდნენ აფხაზეთში, რამაც აფხაზების გაღიზიანება გამოიწვია და მათ ჩვენი დევნილები კინწისკვრით გამოყარეს. დასამარდა ლტოლვილების დაბრუნების მეტად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა.

# სპეკულაცია გრძელდება

**ცუდად დაიწყო გაზაფხული. მარტის პირველმა რიცხვებმა ხომ სულ ამოგვაყირავეს. რა ხდებოდა და რატომ? ვინ ახსნის და ვის შეუძლია შევიდეს იმ ქმედებების არსში და განგვიმარტოს, სწორი და მართალი გონებით ანალიზი გაუკეთოს იმ საშინელ ქაოსს, რომელიც მოჰყვა ეგრეთ წოდებული „საზღვარგარეთის აგენტებზე“ შექმნილი კანონპროექტის განსახილველად გამოტანას პარლამენტში. რა სწორი ვართ ის ადამიანები, რომლებიც ამ კანონზე საუბარს, ასეთ არახელსაყრელ პირობებში, ნაადრევად მივიჩნევდით. რა თქმა უნდა, ასეთი კანონი უნდა იყოს საქართველოში, იმ ქვეყანაში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების ბუმია და თურმე იმიტომ, რომ ხალხზე ზრუნავენ. და თუ ასეა, რატომ არ უნდა ვიცოდეთ ხალხმა სად, რაში და რატომ იხარჯება საზღვარგარეთის ძლიერი ქვეყნებიდან გადმორიცხული მილიონობით დოლარი და ევრო. რატომ არ უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ღონისძიებები ხალხისთვის გამჭვირვალე და გასაგები?დაფიქრდით ხალხნო, რაშია საქმე!.**




რატომ და ვინ მოაწყობინა ახალგაზრდებს ჩვენთვის – ქართველი ხალხისთვის დამთრგუნველი და შეურაცხმყოფელი დემონსტრაციები. განა დემონსტრაცია იყო შვიდ და რვა მარტს პარლამენტის წინ შეკრებილთა მოზღვავება და მათი ქცევები? მითხარით ერთი, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით მოუვიდათ აზრად ეგრეთ წოდებულ დემონსტრანტებს მსხვრევა, ნგრევა, მანქანების გადაყირავება, დაწვა, მთავრობის მიერ, მათივე დასაცავად, დემონსტრაციასთან შეუთავსებელი ქმედებების აღსაკვეთად გამოყვანილ სამართამდამცველთა შეურაცხყოფა და ფიზიკური დაპირისპირება, ჩვენი მშვენიერი არქიტექტურული შენობის დასახიჩრება, მილეწ-მოლეწვა. განა ხალხის ფულით არ არის აშენებული ეს შენობა და არ უნდა გვეამაყებოდეს? ის ჩვენია და ქალაქს გვიმშვენებს. ამიხსენით ვინმემ, რა იყო ეს, სიმართლისათვის თავგანწირული გმირობა თუ შინაურ და გარეშე მტრების დაკრულზე ცეკვა? ჩვენ, ამ ამბის მომსწრენი და მაყურებლები, დარწმუნებულები ვართ, რომ ამ უაზროდ და უპრინციპოდ აჯანყებულებს წაკითხული კი არადა, თვალმოკრულიც კი არ ჰქონდათ ის კანონპროექტი, რომლის საწინააღმდეგოდაც გამოვარდნენ, ნეტავ ვის ებრძოდნენ „მოლოტოვის კოქტეილებით“ და რაღაც ასაფეთქებლებით შეიარაღებულები?

ეს ჩვენი ღირსეული და გმირი ახალგაზრდები, როგორ იქცეოდნენ? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ სამაგალითოა მათი გამოხდომა? სამწუხაროდ , არსად არ ჩანდა გონივრულობა, აზროვნება. აზვავდნენ და იციან კი რატომ? დალეწეს და დაანგრიეს პროსპექტზე გაწყობილი სკამები და სანაგვე ურნები, პარლამენტის შენობას რა დღე აყარეს, ხომ ვიცით, აქეთ სამხატვრო გალერეასაც მიასკდნენ და კარები შეამტვრიეს. იძალადეს პოლიციელებზე. ორმოცდათხუთმეტი დაშავებულიდან ხუთს განსაკუთრებით აქვს დაზიანებები და შერყეული ჯანმრთელობა. თავადაც ხომ დაიზიანეს თავი, ვითომ გმირულად, წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზებს რომ არ შეეპუენ. ძვირფასო ჭაბუკებო, მე არ მინდა ასეთებს ვიღაცის ხმებსა და ჭორებზე ბოროტად აყოლილებს გხედავდეთ, თქვენ ხომ აწმყოზე დამყნობილი მომავლის მშენებლები უნდა იყოთ, ჩვენი იმედი და სასოება. რა ქენით ეს, ნეტავ რამ გაიძულათ ასეთი გამძვინვარება, ჩვენ, რუსეთისაგან ოკუპირებულ საქართველოს, რამდენი ჭირი გვინახავს, მაგრამ ერთეულების გარდა, სამწუხაროდ, ახალგაზრდები რაზმებად არ და ვერ გაერთიანებულან. ასეთი ერთობლივი, „შეკრული თავგანწირვა“ საკუთარი დედაქალაქის დასანგრევად რამ და ვინ გაფიქრებინათ! რატომ, რატომ? ვისზე ფიქრობდით ამ დროს, ნუთუ რადიკალ-ოპოზიციონერების იდეებზე?...

**რა წერია ამ კანონში ასაღელვებელ-გადასარევი? მოდით ვნახოთ, ერთი ფრაგმენტი მაინც.**

**„გ) უცხოური ძალის აგენტი – უშუალოდ უცხოური ძალის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან უმეტესწილად უცხოური ძალის მიერ კონტროლირებადი ან დაფინანსებული პირის კონტროლის, ბრძანების ან თხოვნის შესაბამისად მოქმედი ნებისმიერი პირი, რომელიც უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით:**

**გა) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე ჩართულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ აქტივობებში;**

**გბ) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხების თაობაზე მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი, ან პოლიტიკური მრჩეველი;**

**გგ) უცხოური ძალის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში აფინანსებს სხვადასხვა სუბიექტებს, სესხად გასცემს ფულს ან სხვა სახის ქონებას;**

**გდ). წარმოადგენს უცხოური ძალის ინტერესებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის დროს;**

**შენიშვნა:**

**1. უცხოური ძალის აგენტად ასევე ითვლება ნებისმიერი პირი, ვინც ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე ახორციელებს, ასევე ნებისმიერი პირი, ვინც თავს უცხოური ძალის აგენტად წარმოაჩენს.**

**2. უცხოური ძალის აგენტად არ ითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალება, თუ ის შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ქონების არანაკლებ 80%-ის ბენეფიციარი მესაკუთრე საქართველოს მოქალაქეა და ის არ იმართება, არ ფინანსდება ან არ კონტროლდება უცხოური ძალის მიერ.**

და ასე შემდეგ... (საქართველოს კანონი „უცხოელი აგენტის რეგისტრაციის შესახებ“).

აქ არის, მე მგონი, გაცხადებული არსი ამ კანონისა.

იმ „საუცხოოდ ორგანიზებული“ დემონტრაციების შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ცოტა უფრო დასახვეწი, მაგრამ ძირითადად, ასეთი კანონი, ყველა სახელმწიფოსთვის, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოსთვის, აუცილებელია, რათა ჩვენ არასოდეს ვნახოთ ასეთი ყალბი, ჭორზე აგებული, საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის (განსაკუთრებით იმ დემონსტრანტი ახალგაზრდებისთვის!) დამაზიანებელი, სუფთა პოლიტიკური ნიშნით აგებული დემონსტრაციები.

იხ. 7 გვ.





# კახა კალაძის სიტყვას ყოველთვის საქმე მოსდევს!

## ახალი რეკრეაციული სივრცეები

**თბილისის მერია, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მიწის მესაკუთრეებს აღნიშნული ტერიტორიის სანაცვლოდ ალტერნატიულ ნაკვეთზე შესაბამისი ოდენობით K2 კოეფიციენტის მომატების შესაძლებლობას მისცემს,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილების მიზანი, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რეკრეაციული სივრცეების შექმნაა.

**„იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი დაგეგმავს რეკრეაციული სივრცეების – ბაღის, სკვერის, პარკის, ბულვარის, საბავშვო მოედნის ან სპორტული შენობა-ნაგებობის (საწვრთნელი ბაზა, სპორტული მოედანი, სტადიონი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზი) მოწყობას, აღნიშნული მიწის მესაკუთრეებს სხვა, კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთისგან განსხვავებულ სამშენებლო პარამეტრებს შევთავაზებთ“...**

## ისტორიულ უბნებში ავარიული შენობა-ნაგებობები ჩანაცვლდება...

ისტორიულ უბნებში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება-რეაბილიტაციის ორი ახალი პროგრამა შემუშავდა.

**– ძველი თბილისის განახლება-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თბილისის განვითარების ფონდი სრული დატვირთვითაა ჩართული ძველი თბილისის, ისტორიული უბნების განახლება-რეაბილიტაციის პროცესში. გარდა ამისა, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, გამგეობები ახორციელებენ ათეულობით ასეთი შენობა-ნაგებობების გამაგრება-რეაბილიტაციას. იმდენად ბევრი შენობაა ავარიული, რომ მხოლოდ ამ პროგრამებით რთული იქნება მივიღოთ შედეგი, რასაც საზოგადოება ელოდება. ჩვენ ავამოქმედეთ „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა“, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. რაც შეეხება ძველ თბილისს, სადაც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლებია, იქ არსებულ პროგრამას ვერ გამოვიყენებდით. რამდენიმე მთავრობის სხდომის წინ მე დავავალე ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძეს, რომ შეემუშავებინათ კონკრეტული ხედვა და პროგრამა, თუ რა შეიძლება გავაკეთოთ ისტორიულ უბნებში. გუნდმა დედაქალაქის საკრებულოსთან ერთად, იმუშავა და შემუშავდა ორი პროგრამა.**

პირველი პროგრამით, ისტორიულ უბნებში არსებული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება-რეაბილიტაციის პროცესში ბიზნესსექტორი ჩაერთვება, უშუალოდ პროექტის შედგენას, ხარჯთაღრიცხვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს კი თბილისის განვითარების ფონდი განახორციელებს. რაც შეეხება მეორე პროგრამას, კახა კალაძის თქმით, ავარიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მათი საკუთრების, ქონების გასხვისება-გაყიდვის პროცესი აუქციონის საშუალებით თბილისის მერიამ უზრუნველყოს. აუქციონის ჩატარება და მასთან დაკავშირებული შემდგომი ყველა საჭირო პროცედურა თბილისის მერიის მიერ სრულიად უსასყიდლოდ, ყოველგვარი მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე განხორციელდება.

## პრობლემური საგზაო კვანძები მალე მოწესრიგდება

**დედაქალაქში პრობლემური საგზაო კვანძების მოწესრიგების სამუშაოები დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ეს ყველაფერი კეთდება, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელსაც ყველაზე მეტი ადამიანი გადაჰყავს დღის განმავლობაში, იყოს კომფორტული, სწრაფი და მოქალაქეებს არ უწევდეთ გაჩერებებზე ლოდინი გარკვეული დროის განმავლობაში იმის გამო, რომ ავტობუსი და მიკროავტობუსი საცობში ფერხდება.**

ეს დისკომფორტია, რომელსაც შემდეგ ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. მოქალაქეებს კი ჰგონიათ, რომ ავტობუსის და მიკროავტობუსის ნაკლებობაა ქალაქში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ორჯერ მეტი ავტობუსი ემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას, ვიდრე ეს ე.წ. ყვითელი ავტობუსების პირობებში ხდებოდა, თუმცა აღნიშნული საცობები გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ამიტომ მივიღეთ აღნიშნული გადაწყვეტილება – სატრანსპორტო დერეფნები ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს...

## გოთუას ქუჩა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს პანდუსით დაუკავშირდება

**დედაქალაქის მერია საბურთალოს რაიონში ლევან გოთუას ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დამაკავშირებელი საავტომობილო პანდუსის მშენებლობას იწყებს,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ახალი საავტომობილო გზა განკუთვნილი იქნება გოთუას ქუჩიდან სანაპიროზე ჩამსვლელთათვის, არსებულ პანდუსზე კი გზა ცალმხრივი გახდება და ავტომობილები მხოლოდ სანაპიროდან გოთუას ქუჩის მიმართულებით იმოძრავებენ. გარდა ამისა, თბილისის მერის თქმით, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ უსაფრთხოების მიზნით მოეწყობა ფერდის დამცავი რკინა-ბეტონის კედლები.

**„პროექტის დასრულების შემდეგ არსებულ პანდუსზე საავტომობილო მოძრაობა ცალმხრივი გახდება და ავტომობილებს გადაადგილება შეეძლებათ სანაპიროდან გოთუას ქუჩის მიმართულებით. გოთუას ქუჩიდან სანაპიროზე ჩამსვლელებისთვის კი ახალი პანდუსი მოეწყობა. შესაბამისად, ამომსვლელი და ჩამსვლელი ნაკადი ერთმანეთს ხელს არ შეუშლის. სამუშაოები დღეს დაიწყება და ამ ყველაფრის მოწყობას დაახლოებით სამი თვე დასჭირდება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

## „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები 450 ლარით დაფინანსდებიან

**– წლიდან წლამდე იზრდება „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ პროგრამის ბიუჯეტი. გასულ თვეში ამ ბავშვების მშობლებს მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ მარტში პროგრამაში კიდევ 300 ბავშვი და მოზარდი ჩაერთვებოდა, პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 1 850-მდე შეადგენდა. ასევე, გაიზრდებოდა სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რიცხვი. ამჟამად, პროგრამის ბენეფიციარებს ცხრა ცენტრი ემსახურება.**

◎ წერილი 105 წლის გაზეთის რედაქციას

# ქართული ჟურნალისტიკის დღე – 20 მარტი, და არა 21!

## შემჩნეული შეცდომის გასწორება უნდა მოვახერხოთ!

**ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ქართული ჟურნალისტიკის დღედ 1997 წელს გამოცხადდა 21 მარტი.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თაოსნობით ქართული ჟურნალისტიკის დღის დაწესებას საფუძვლად დაედო XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის კავკასიის მხარის ცენტრში, თბილისში, სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოს მოქმედი ოფიციალური ხელისუფლების მიერ დაარსებული პირველი ქართული გაზეთის – „საქართველოს გაზეთის“ – პირველი ნომერი, რომელიც გამოიცა 1819 წლის 8 მარტს.

ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ალექსანდრე I (1777-1825), ხოლო კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი გახლდათ ალექსი ერმოლოვი (1777-1861). მთელი კავკასიის სივრცეში პირველი პერიოდული გამოცემაც, ცხადია, მათი ნება-სურვილით მოხდა – „მანამდე არსად და არასდროს კავკასიაში გაზეთი არ გამოცემულა. კიდევ მეტი: XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე მთელი რუსეთის იმპერიაში, გარდა სატახტო ქალაქებისა (მოსკოვი და პეტერბურგი) გამოდიოდა მხოლოდ სამი გაზეთი: ყაზანში, ხარკოვსა და ასტრახანში“, წერდა ჩვენი ცნობილი მეცნიერი პაატა გუგუშვილი, („ქართული ჟურნალისტიკა“, ტ. I, გვ. 49, თბილისი, 1941).

„რაც შეეხება გაზეთის სახელწოდებას, „იმ დროს, როცა საქართველოს მიწა-წყალი ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული, როცა ცალ-ცალკე არსებობდნენ რიგი სამთავროები, როცა საქართველოს ერთი ნაწილი ისევ თურქების ხელში იყო, სახელწოდება „საქართველოს გაზეთი“ საქართველოს ერთიანობის მაუწყებლად გამოიყურებოდა.“ – წერდა პროფესორი


საქართველოს გაზეთი
Но. I.

მიხეილ გოცაძე („ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, I, გვ. 53, თბილისი, 1954).

ახლა მთავარი, რამაც კალამი ხელში ამაღებინა. საგულისხმოა, რომ ამ დროს რუსეთში მოქმედი იულიუსის კალენდრის მიხედვით პირველი ქართული გაზეთის დაარსების თარიღს – ძვ. სტილით 1819 წლის 8 მარტს – საქართველოში იულიუსის კალენდრიდან გრიგორიანულ კალენდარზე 1918 წლის 1 მაისს გადასული, ანუ ახალი და დღესაც მოქმედი სტილის მიხედვით შეესაბამება არა 21, არამედ 20 მარტი!

ჩვენი ჟურნალისტური დაკვირვება, შენიშვნა ფართო საზოგადოებისთვის უფრო ნათელი რომ იყოს და მსგავსი უზუსტობა, თავიდან აცილებული, ყოველივე ზემოაღნიშნულის გარშემო კომენტარი ვთხოვეთ ამ დარგის გამოჩენილ სპეციალისტს, ცნობილ ქართველ ასტრონომს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ასტრონომიის დარგში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და მრავალი ათეული სამეცნიერო-პოპულარული წიგნისა თუ საგაზეთო პუბლიკაციის, აგრეთვე ლიტერატურული კრიტიკის სფეროში გამოკვლევათა ავტორს, ქართული „ასტრონომიული კალენდრის“ პასუხისმგებელ რედაქტორს 1993 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგეს 1998-2007 წლებში, პოეტს, მთარგმნელს ბ-ნ **შალვა საბაშვილს.**


შალვა საბაშვილი

**„თქვენ მიერ შემჩნეული უზუსტობა დროის აღრიცხვის ხარვეზთა მრავალთაგან მხოლოდ ერთი ნიმუშია. ნაბეჭდ გამოცემებში არაერთი შეცდომაა ბიოგრაფიულ თუ ისტორიულ ფაქტთა დათარიღებაში. მიზეზი ისაა, რომ სათანადო გამოცემათა ავტორები თითქმის არ იცნობენ იმ ასტრონომიულ კანონზომიერებებს, რომლებიც დედამიწის ბრუნვისა და მზის ირგვლივ მისი გარემოქცევის პროცესს ასახავენ და რომლებსაც ეფუძნებიან სხვადასხვა კალენდარული სისტემები. მათ გარეშე კი თარიღთა სწორი გადაყვანა ერთი სისტემიდან მეორეში შეუძლებელია. ამ საკითხს მრავალი ასპექტი აქვს, რომელთა გაშუქება აქ ვერ მოხერხდება, ამიტომ დაინტერესებულთ მივუთითებ ჩემს ნაშრომზე: „წელთაღრიცხვის სისტემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა აკად. ე. ხარაძის რედაქტორობით გამომავალი „ასტრონომიული კალენდრის“ 1992 წლის გამოშვებაში.**

**ახლა კი საკითხის არსზე გადავიდეთ.**

**ყოველი კალენდარი უნდა ასახავდეს ბუნების ციკლებს, რომელთა ხანგრძლივობის პერიოდია – ე.წ. ტროპიკული წელიწადი (365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 46 წამი). ოღონდ ამავდროულად კალენდარული წელიწადი უნდა შეიცავდეს დღე-ღამეთა მთელ რიცხვს და თანაც დღე-ღამის ერთსა და იმავე მომენტში (ვთქვათ, შუაღამეზე) იწყებოდეს. კალენდრების სრულყოფა ისტორიულად ამ ძნელ მოთხოვნათა სულ უფრო მზარდი სიზუსტით დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.**

**ცხადია, სხვადასხვა კალენდრებში წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა სხვადასხვაა, ამიტომ მათში წლების ათვლაც სხვადასხვა სიჩქარით ხდება. ამიტომვე ერთი და იმავე მოვლენის თარიღი სხვადასხვა კალენდარში სხვადასხვა იქნება. ამას გარდა, ეს სხვაობა სხვადასხვა კალენდარული სისტემით გამოსახულ ერთი და იმავე მოვლენის თარიღებს შორის საუკუნეთა მსვლელობაში იზრდება. ასე რომ, საკმაოდ რთულია თარიღთა ამ სიჭრელეში ორიენტირება.და კიდევ ერთიც – ზოგი კალენდარი აჩქარებულია ბუნებრივ ციკლთა მიმართ, ზოგი კი, პირიქით, შენელებული. ესეც ანგარიშგასაწევია.**

იხ. 8 გვ.



სამყაროს აქვს საზღ-არი, ადამიანის სისულე-ლე კი უსაზღვროა...
ა. აინშტაინი

# იდიოტიზმი



ამნაირი დეპუტატები რომ გიზით საკანონმდებლო ორგანოში და ჩვენც გვასმენინებთ მათ ბჟუტურს, ეს განა, იდიოტიზმი არ არის?

**ნომერ პირველ იდიოტიზმად ჩვენი განათლების სისტემის მართვის პრაქტიკა უნდა მივიჩნიოთ. განათლების სისტემას აღზრდის სისტემა რომ არ აქვს, ანუ სისტემის მესვეურებმა რომ არ იციან ვის ზრდიან – ამერიკელებს, გერმანელებს, სომხებს, ჰოლანდიელებსა თუ ისლანდიელებს, მაგრამ ის იციან, რომ ქართველებს არ ზრდიან, იდიოტიზმია, აბა რა არის?**

**სამი ათეული წელია ვცდილობთ დავარწმუნოთ განათლების სამინისტრო, რომ აღზრდის გარეშე პიროვნების სწორი (სრულყოფილი) სოციალური განვითარება შეუძლებელია, რასაც უდავოდ ადასტურებს განათლების მეცნიერებანი, პირველ ყოვლისა ფსიქოლოგია, მრავალი საუკუნის განმავლობაში გაწეული კვლევა-ძიებითა და საკაცობრიო განვითარების ანალიზის საფუძველზე, მაგრამ რად გინდა მერე, ესმის ვინმეს? უცხოური გრანტები უფრო დამაჯერებელია და ამ უბედურ დღეზე გაჩენილებმაც დაიჯერეს ნეოლიბერასტების „დასკვნა“, აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო. ეს განწყობა კარგად გამოხატა ჩვენი პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, საქართველოს იმდროინდელი ამირსპასალარის თინას ხიდაშელის მეუღლემ დავით უსუფაშვილმა: მე და თინა ჩვენს შვილებს იმას კი არ ჩავაგონებთ, რომ პატრიოტებად გაიზარდონ და სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ თავისუფალ პიროვნებებად ვზრდით, რომლებიც შემდგომში თვითონ გადაწყვეტენ ვის შესწირონ თავიო.**

აი, მამალი ნეოლიბერალის კრედო! გიჟი თავისუფალიაო, – ამბობდა ცხონებული ბებიაჩემი ოლღა არევაძე და მართალიც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში პარლამენტის ყოფილი სპიკერი გიჟი არ არის, იგი ღვთის გარეგანი კაცების აზრს გამოხატავს, რაც იდიოტიზმის დამაჯერებელი მაგალითია. ის რაც ახლა განათლების სისტემაში ხორციელდება, ის ზნეობრივი გადაგვარება, რაც მიზნად დაუსახავს სისტემის ხელმძღვანელობას, ჩვენი „სტრატეგიული“ და დაუძინებელი „მეგობრების“ დაკვეთით, უკვე აღწევს თვალსაჩინო შედეგებს: ქვეყანა გაივსო ამ „აღუზრდადი“ განათლების სისტემის მიერ მომზადებული უვიცებით, სოკოებივით მომრავლებული ტელევიზიები გაივსო ქართულის მცირე მცოდნეთა და პროფესიული უვიცების ლეგიონებით. ტელეწამყვანთა და ჟურნალისტთა უდიდესმა ნაწილმა ელემენტარული ათწილადის წაკითხვა არ იციან. მაგალითად, 11,15% ასე კითხულობს: ათი მთელი თხუთმეტი პროცენტი. არა და საშუალო სკოლა (12 კლასიანი) დამთავრებული აქვთ, ხოლო პარლამენტის დეპუტატთა უდიდესმა უმრავლესობამ ნორმალური ქართული (ხუთი წლის ბავშვმაც რომ იცოდა ამ 20 წლის წინ) არ იცის: „ეს კარგი არი“, ეს „მისაღები არი“, ეს „ყურადსაღები არი“, – ამას რომ უსმენ კაცი, რა უნდა იფიქრო ნეტავი, იმის გარდა, რომ სკოლა და მასწავლებელი უხსენო:

ახლა ერთი უბედურება მესმის ხშირად ხალხის რჩეულთა ბაგეთაგან: „ოცი ოცდასამში ჩვენ ვაპირებთ“... „ოცი ოცდაორში“... ერთი ხანობა ვიფიქრე, ეს „ოცი ოცდასამი“ რაღაც ობიექტის ნომერია-მეთქი, მაგრამ შევცდი: „ოცი ოცდასამი“ თურმე 2023 წელი ყოფილა... დიდება შენდა ღმერთო! საიდან ამოიღეს ასეთი სიბრძნე, ნეტავი? უფრო გაამარტივეს 2023 -ის წაკითხვა-მეთქი? არა, კაცო, ინგლისური ენის ზეგავლენით გადმოუღიათ ამ ლაყე მედასავლეთეებს. ინგლისელი 2023-ს ხომ ასე კითხულობენ **„თვენთი თვენთი სამი“**, პირდაპირ თუ გადმოთარგმნი „ოცი ოცდასამი გამოვა! არ განუცდიათ „პროგრესი“, რომელსაც ახლა ჩვენში ნერგავენ?! ამ ლაყე მაიმუნებმა ის კი არ იციან, რომ ინგლისელებს ცნებითი აზროვნება, რაც სოციალური განვითარების უმთავრესი ნიშანია, აღმოსავლეთის ხალხების დონემდე არ აქვთ განვითარებული. ჩვენ ბევრად ძველი და ბევრად კულტურული ერი ვართ და ეს მედროვენი ჩვენს უკან დაბრუნებას ცდილობენ. რა სკოლა და რა უმაღლესები დაამთავრეს ამ უდღეურებმა, რომ სხვისი პანტა საკუთარ თურაშაულს ამჯობინეს?

ზოგიერთ ბრიყვს ჩემი ნათქვამი ანტიმედასავლეთეს ბოღმის გამოხატულებად მოეჩვენება. ამნაირებს ვეკითხები: ერთი მითხარი, ევროპელობის მოწადინე კავკასიელო (ერთი უგნური თაგვივითაა), აბა მითხარი ინგლისელს თუ აქვს „შვილის“, „ბიძაშვილის“, „დეიდაშვილის“, „მამიდაშვილის“ ცნებები? თუ არ იცი ინგლისურის, ფრანგულის ან რუსულის მცოდნეებს ჰკითხე და მერე გაიგებ, ვინ არის კულტურულად წინ მდგომი და ვინ უკან. ამერიკელი ფილოსოფოსი ხოსე გარსია ი. გასეტი წიგნში „მასების ამბოხი“ წერს: ამერიკაში უმაღლესი ტექნოლოგიებისა და ცივილიზაციის უკან ველური საზოგადოება იმალება“-ო.

* * *

**წეღან ვთქვით, ჩვენი განათლების სისტემას აღზრდის კონცეფცია არ აქვს თორემ, ანტიაღზრდის ნეოლიბერალურ დირექტივებს სისტემატურად იღებენ დასავლელი, ჩვენი დაუძინებელი მეგობრებისაგან, რომლის მიზანია ჩვენს მომავალ თაობებს დაავიწყონ ვინაობა და სადაურობა, ქართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, ენა და კულტურა, წარსული და წინაპრების ხსოვნა, საკუთარი სქესობრივი კუთვნილება და ნათესაური კავშირები... ჯვარი აქაურობას, ნუღარ ჩამომათვლევინებთ!**

ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა იდიოტიზმი არ არის, განა?

იდიოტიზმის ერთ-ერთი მომაკვდინებელი მოქმედება თუ უმოქმედობა არის მძვინვარე პანდემიისადმი წაყრუება, რამაც დაასავადა ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს არის რუსოფობია!

რუსოფობია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფობია, უმძიმესი დაავადებაა, თუმცა სხვა ფობიებისგან განსხვავებით, იგი ჩვენი ეროვნული გადაშენების (როგორიცაა მორალური ან ფიზიკური) ჰიპერაქტიურ ვირუსებს შეიცავს. ჩვენი თუ უცხოელი რუსოფობების რიტორიკასა თუ ქცევას დააკვირდებით, სრულიად ცხადად დაინახავთ, რომ მათ გონიერების ნატამალი შერჩენილი არ აქვთ. ამ გენიოსებს არც ისტორია უსწავლიათ (თუ არ ახსოვთ!), არც გეოპოლიტიკა გაუგონიათ, არც კულტურაზე აქვთ რაიმე წარმოდგენა და, რაც მთავარია, ადამიანის არსის შესახებ ბაიბურშიც არ არიან. რა თქმა უნდა, მათთან სამართლიანობაზე, სამართალზე, ობიექტურობაზე, ზნეობაზე, მრწამსსა და რწმენაზე სიტყვის ჩამოგდება სრული უაზრობაა. ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს რომ ვუცქერი (განსაკუთრებით ქართველებს), ერთი იგავური ამბავი მახსენდება: ერთი ახალგაზრდა კაცი დურგალთან მივიდა და სთხოვა, ბიძია, ერთი ნალის დასაჭედი ლურსმანი ჩამარჭე თავშიო. შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, ლურსმნის თავში ჩაჭედება რამ გაფიქრებინაო, – გაიკვირვა დურგალმა. რამ და, დალაქზე ვარ გაბრაზებული და თმის საკრეჭი მაკრატელი მინდა გავუტეხოო.

აი, ასე აზროვნებენ ჩვენი რუსოფობები. ძიძიგურისა არ იყოს (სამტრედიის პრეფექტი რომ იყო ერთხანს!), სატვირთო მატარებელს თუ მივასვარკავებ რელსებზე სამტრედიის სადგურში, რუსეთის მძიმე მრეწველობა დაიღუპებაო უთუოდ! როგორც ეს ვარაუდი გამართლდა, ზუსტად ისე გამართლდება დღევანდელი რუსოფობიით დასნეულებულთა ილუზიები.

ამას წინათ ერთი დეპუტატი გამოდიოდა პარლამენტში, რომელი პარტიიდან იყო არ ვიცი და არც მნიშვნელობა აქვს, ყველა რუსოფობი ერთნაირად სულელია. იმ სულელმაც ისეთი რამეები იბჟუტურა, ვიფიქრე, ამას დაწყებითი სკოლის კურსიც კი არ ექნება გავლილი მეთქი. ასეთები ერთეულები კი არ არიან იქ. ახლა მე ვკითხულობ: ამნაირი კაცები რომ გიზით საკანონმდებლო ორგანოში და ჩვენც გვასმენინებთ მათ ბჟუტურს, ეს განა, იდიოტიზმი არ არის? თქვე კაი ხალხო (ხელისუფლებას ვეუბნები!), ის რომ თქვათ, რუსეთთან საავიაციო ფრენების აღდგენა და აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის განახლება ჩვენი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისიო, ვითომ ბაიდენი თუ ბლინკენი ყურებს დაგაჭრიან! თუ მართლა ყურების დაჭრისა გეშინიათ, მაშინ ჯაფარიძე გირჩის პარტიელებივით ჩაიხადეთ ნიფხვები და ეახლეთ თქვენს დაუძინებელ სტრატეგიულ „მეგობრებს“ „ოქროს“ ურდოში!

ოთხმოცდაათი წლის წინ დასამარებული და დასავლეთში მძიმედ დაჭრილი ტროცკიზმი, აგრესიული ნეოლიბერალიზმის თეორია, რაც პირველ ყოვლისა მებრძოლი უღმერთოებისა და უსირცხვილობის თავისუფლების სახით კვლავ აღორძინდა, უკვე ლამის გაბატონდეს ჩვენში. იგი სადღაც კულუარებში და ქუჩის ბრბოს მოქმედებებში კი არ ყელყელაობს, პირდაპირ პარლამენტის ტრიბუნაზე დგას. ამას წინათ პარლამენტის ტრიბუნიდან ორმა „ხალხის რჩეულმა“ დეპუტატმა, გაურკვეველი ეროვნებისა და სადაურობის არსებებმა **ხათუნა სამნიძემ** და **რომან გოცირიძემ,** იგივე კუპონამ, განაცხადეს:

**პარლამენტის წინ რაღაც მახინჯი რკინის კონსტრუქცია რომ დგას, ე. წ. წმინდა ნინოს ჯვარი, ნერვებს გვიშლის და უნდა აიღოთო, მითუმეტეს, რომ მის დადგმაზე ქალაქის მერიას ნებართვა არ გაუციაო!**

**ვის უშლის ნერვებს და ვის ემართება ელეთმელეთი ჯვრის დანახვისას? ეშმაკს და მაცილს! ჩვენ თუ იდიოტიზმის ვირუსი არ გვაქვს შეყრილი, როგორ ვაჩერებთ პარლამენტში ამ და მათ მსგავს სატანისტებს? ამაზე შორს ხალხის გამოთაყვანება ვერ წავა! მართალი ყოფილა აინშტაინი რომ ამბობდა: სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროაო.**

სწორედ ამ უსაზღვროების მაგალითია ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოც და უკვე მისჯილი სასჯელის აღსრულების ფორმაც. დარწმუნებული ვარ, ეს მაგალითი ჩვენს ისტორიაში დარჩება (თუ ვიარსებეთ, რა თქმა უნდა!) ბევრი კომიკური ნაწარმოების თემად. ეს მომავალში, თორემ დღეს ეს სულაც არ არის კომიკური და ვინმეს სალღიცინო ფაქტი. სააკაშვილი თუ დამნაშავეა და თანაც ისეთ უმძიმეს ქმედებებსა და უმოქმედობებში, რასაც დაბეჯითებით ამტკიცებს ხელისუფლება და უამრავი დაზარალებული, მაშინ ყველაზე დიდი დამნაშავე რატომ არის იმპერტორისთვის საკადრის პრივილეგიებში, რატომ ჰყავს ამდენი ვიზიტორი, რამდენიც არცერთ მონარქს არ ღირსებია, რატომ დასტრიალებენ თავს აქაური თუ იქაური ექიმები და ვექილები? და თუ იგი უდანაშაულოა, ახალი საქართველოს შემქმნელია, ახალი ეპოქის აღმაშენებელი და დემოკრატიის შუქურაა, რომელსაც თავისი ფეხით ეახლა აშშ-ს პრეზიდენტი ბუში და კინტაურიც უცეკვა, თუ მართლა მძიმე ავადმყოფია, რომელსაც ორი პარასკევი აქვს დარჩენილი, რატომ არის ვირზე შემჯდარი ჩვენი სასამართლო და არ ათავისუფლებს მას პრესტიჟული კლინიკის „კარცერ ლუქსიდან“?

**ეს არ არის იდიოტიზმის კლასიკური მაგალითი? უფრო მეტიც! ეს იდიოტიზმზე უარესია, რომლის სახელი ახლანდელმა ფსიქოლოგიამ ჯერ არ იცის.**

იდიოტიზმია ისიც, რომ ტელევიზიის ყველა არხი, მათ შორის, თითქოს სახელისუფლებო ორიენტაციის არხებიც, ყოველდღე გვიჩვენებენ ჩვენი ე.წ ოპოზიციის იდიოტების ოცკაციან შეკრებებსა თუ დემონსტრაციებს, მათ იდიოტურ მუქარებსა თუ განცხადებებს. ერთი იდიოტი ყოველ გამოსვლაში იმუქრება: ჩვენ მშვიდი არსებობის უფლებას არ მივცემთ ხელისუფლებას, ყველგან მივალთ, მათ საცხოვრებელ სახლებთან, სამსახურებში, გზას გადავუკეტავთ პარლამენტის შესასვლელში და ა. შ. ახლა მე ვეკითხები ვისაც ჯერ არს: თუ ეს ხალხი, როგორც ხშირად აცხადებთ, არეულობას და რევოლუციას გეგმავენ, მაშინ ასეთი მუქარა და განხორციელების მცდელობა სისხლის სამართლის დანაშაულია ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში და თუ ისინი, თქვენც (ჩემსავით!) იდიოტებად მიგაჩნიათ, მაშინ მათი საჯაროდ ჩვენება და დაცინვა, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულია, რაზეც პასუხისმგებლობა თქვენ, ხელისუფლებას მოგეკითხებათ.

* * *

**ახლა, ყველაზე დიდ და უაღრესად მავნე იდიოტიზმზე უნდა გითხრათ, რაც ერთჯერადად უარყოფით შედეგს კი არ იწვევს, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის (განსაკუთრებით ახალგაზრდობისას) ეროზიას უყრის საფუძველს, რაც შეიძლება ათწლეულებში გაგრძელდეს. ეს ეხება დღენიადაგ იმ სისულელის პროპაგანდას, რაც ჩვენი ,,ევროპული მომავლის“ ალუზიის საზოგადოების შეგნებაში ჩანერგვას უკავშირდება.**

ტელევიზიების ნაირ-ნაირი დასახელების არხებზე – „მთავარზე“, „პირველზე“, „ფორმულაზე“, „მაესტროზე“, „რუს-

თავი 2-ზე“, „იმედზე“ და რა ჩამოთვლის მათ სახელებსა თუ თიკუნებს, ყოველი ინფორმაცია იწყება იმით, რომ ჩვენს„ევროპულ მომავალს“ პერსპექტივა აქვს თუ საფრთხე ემუქრება, რომ ჩვენ ვბრუნდებით ისტორიულ სამშობლოში, ანუ შინ, რომ ჩვენი ფესვები ევროპაშია. ამის ერთადერთი და „უტყუარი“ საბუთი ის არის, რომ ქართველმა არქეოლოგებმა ამ ათეული წლის წინ აღმოაჩნეს პირველი ევროპელების – ზეზვასა და მზიას საფლავები წალკის რაიონში (ფოთში ან ქობულეთში მაინც აღმოეჩინათ!) ვაი, ჩვენს პატრონს!

**ამ იდიოტიზმის პროპაგანდის მიზანი ის არის, რომ საზოგადოებას (ახალგაზრდებსა და ზრდასრულ იდიოტებს!) ჩააგონონ, სამიათასწლიანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ხალხი შინ კი არა, სხვაგან ყოფილა, მკვიდრი მოსახლეობა კი არა, ხიზნები ყოფილან და ახლა ცდილობს დაბრუნდეს „შინ“!**

ამაზე მეტი ეროვნული ღალატი და მტრობა გაგონილა? აი, სადამდე მიიყვანა სატანისტურმა ნეოლიბერალიზმმა ხალხის ის ნაწილი, რომელიც, სამწუხაროდ, ხელისუფლებაშია მასობრივი გამოთაყვანება არის დასავლეთის მიზანი.

ლევანა ბერძენიშვილი დღევანდელ საქართველოში ინტელექტუალურად მიაჩნია ე. წ. საზოგადოების დიდ ნაწილს.

ბევრჯერ მითქვამს, რა ცოდნის პატრონია ეს ვიგინდარა, ახლა კიდევ ერთხელ მოვიტან მისი იდიოტიზმის ერთ ნიმუშს, რაც ხშირად მეორდება „ჩვენს“ ტელევიზიებში:

ჩვენი მთავრობა რომ ამბობს, ჩვენ მშვიდობა გვინდა და ჩრდილოელ მეზობელთან ომში არ ჩავებმებითო, სამრცხვინო არ არის ასეთი განცხადებაო? – ამ ბრიყვმა, თუ საჭიროა ომიც უნდა გინდოდესო, დავით აღმაშენებელმა განა ომით არ მიაღწია იმას, რითიც ვამაყობთ და ვის გზაზე სიარულსაც ეს ხლისუფლება იბრალებსო, – დაასკვნა ამ „ინტელექტუალმა“.

ამ სისულელეზე პასუხს როგორ ვაღირსებდი ამ „გენიოსს“, მაგრამ მის ამ „სიბრძნეზე“ სერიოზულ კომენტარებს რომ აკეთებენ არანაკლებ იდიოტები, ამიტომ ვიტყვი იმას, რაც ვერავინ უთხრა ამ „ექსპერტს“, რამეთუ არც თვითონ იცოდნენ ეს.

თუ იცის იმ იდიოტმა და მისმა ოპონენტებმა, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისი დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის 31-ე წელს აიღო და დაუბრუნა ქვეყანას, ხოლო დიდგორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „ძლევაი საკვირველი“ სამეფო ტახტზე ასვლიდან 30-ე წელს გამართა და მოიგო კიდეც. მანამდე დავითი სახელმწიფოსა და ჯარს აშენებდა, საგარეო ურთიერთობებს აგვარებდა, მტრების დასუსტებასა და მეგობრების გაძლიერება-გამრავლებას უწყობდა ხელს! ეს ან არ იცის ამ „ინტელექტუალმა“, ან იცის და ურცხვად ჩათლახობს ნეოლიბერალური ცენტრებიდან უხვად მომდინარე ფინანსებით გაბრუებული.

* * *

**ძვირფასო მკითხველო, იქნებ დავფიქრდეთ ცალ-ცალკე და ყველა ერთად, სად არის და რა არის გამოსავალი, თორემ ამ უბედურების, ანუ ნეოლიბერალური იდიოტიზმის ასე პანდემიასავით გავრცელების მიზეზი რაც არის, მართლა იდიოტი უნდა იყო, რომ ვერ ხვდებოდე.**



**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.**

**P.S.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო-ების) დაფინანსების შესახებ კანონპროექტის განხილვას რომ ვუცქირე, რუსლან მიქაბერიძის ერთი ფუნაგორია გამახსენდა, რომელიც ფრიად პოპულარული იყო 90-იანი წლების დასაწყისში. გთავაზობთ მის ოდნავ შეცვლილ ვარიანტს:**

**ამ კანონ პროექტს**
**ვინც მხარს არ უჭერს,**
**ან სულელია, ანდა ჩათლახი!**

**ასე გამოვხატავ ჩემს შთაბეჭდილებას, რაც საპარლამენტო კომიტეტებისა და პარლამენტის სესიის ცქერისას დამრჩა.**

**08.03.2023**



# დავით ზარდიაშვილი: 50 წლის კაცს ეუბნებოდა ერთი ე. წ. სტუდენტი: შენ მალე მოკვდები და ჩვენ გვაცალეთ ევროპაში შესვლაო – ესაა ფაშიზმი!

**მაინც, რა დაგვანახა პროტესტის ორმა დღემ? ამოეფარნენ თუ არა რევანშისტული ძალები გულანთებულ ახალგაზრდებს, რომელთაც არწმუნებდნენ, თითქოს „აგენტების“ შესახებ კანონპროექტი მათთვის დაფინანსების შეწყვეტას გამოიწვევდა დასავლეთის უნივერსიტეტებში?!**

ფაქტია, დაინტერესებული ძალები არაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ შეეჩერებინათ საზოგადოების დაყოფა და ანგაჟირებული ახალგაზრდები მშვიდობიან რელსებზე გადაეყვანათ. პირიქით, მათ ინტერესში იყო ტემპერატურის აწევა. სიტუაცია 90-იანი წლების მსგავსად ვითარდებოდა, როცა ქართველი ხალხი ხელოვნურად დააპირისპირეს ერთმანეთს და ამაში გარე ძალები იყვნენ ჩარეულნი.



პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** აცხადებს, რომ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია პირდაპირ ებრძვის სახელმწიფოებრიობას. ისინი უცხოეთიდან მიღებული დაფინანსებით ატარებენ ანტისამთავრობო მიტინგებს, პროვოკაციულ ღონისძიებებს, რომელიც არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. წლების განმავლობაში ისინი ათეულ მილიონობით დოლარის გრანტს იღებდნენ და არავითარი ანგარიშვალდებულება არ ჰქონდათ საზოგადოების წინაშე.

პიარსპეციალისტი **ლალი მოროშკინა** პარალელებზე საუბრობს და იხსენებს, რომ როცა მის ბავშვობაში ვერა-ვაკე-საბურთალოს საძმო ერთმანეთს უპირისპირდებოდა და ქიშპობა იწყებოდა, სკოლის მოწაფეებიც კი ფიქრობდნენ, როგორმე ჩაექროთ ცეცხლი და მის გაღვივებაზე არ ეფიქრათ. დღეს სხვაგვარი ვითარებაა, დღეს არავინ ცდილობს ხალხის დაწყნარებას.

რას ნიშნავდა სტუდენტების გამოჩენა საპროტესტო აქციაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა ეს სიგნალი ხელისუფლებისთვის, რომ საზოგადოება გაყოფილია და სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროების წინაშე ვდგავართ?!

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ, თავისთავად, პრობლემა იყო აგენტების შესახებ კანონპროექტი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი პრობლემა იყო ის, რომ ხელისუფლებამ პირველი მოსმენით, ნაუცბათევად მიიღო ეს კანონი, არ იცოდა რა საზოგადოებაში არსებული განწყობები.

**„მე ეს უფრო მაწუხებს, ვიდრე უკვე გაწვეული კანონი. ამის ინსპირირება ხელისუფლებამ მოახდინა და არა ოპოზიციამ ან საზოგადოებრივმა სპექტრმა. როდესაც ხედავ, რომ ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი სექტორი, რომლის წარმომადგენელიც ამ კანონპროექტს არ აპროტესტებს, იმდენი ჭკუა უნდა გეყოს, არ მიიღო ასეთი კანონი. ამდენად, თუკი სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყებოდა, ამის ინსპირატორი ხელისუფლება იქნებოდა. თუმცა მეტ-ნაკლებად მამშვიდებს ის ფაქტი, რომ საყოველთაო პროტესტის შემდეგ ხელისუფლებამ უკან დაიხია და არ გადადგა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც დამღუპველი ნაბიჯი. შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ახლა არ არის სამოქალაქო დაპირისპირება, მაგრამ აქამდე შესაძლოა მისულიყო საქმე, რომ არ გაეწვია ხელისუფლებას კანონპროექტი“...**

მისივე თქმით, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ როდესაც საქმე ასეთ მტკივნეულ საკითხებს ეხება, მეტი მოთმინება და გამჭრიახობა მართებს. ვახტანგ ძაბირაძე არ მალავს, რომ მას არ სურს, ძალიან სწრაფად მოხდეს ამ ხელისუფლების დაუგეგმავი ცვლილება, რადგან საზოგადოება ჯერ არ არის იმისთვის მზად, რომ ხელისუფლების ჩანაცვლება კი არა, ხელისუფლების შეცვლა მოხდეს. დღემდე ჩვენ ვახდენდით ხელისუფლების ჩანაცვლებას და ეს პრობლემა იყო. ეს რომ ავიცილოთ, პროცესი ემოციებისგან უნდა დაიცალოს.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** სამოქალაქო დაპირისპირებას ვერ ხედავს და არ თვლის, რომ ჩვენი საზოგადოება ორად გაყოფილია. მისი აზრით, ქუჩაში გამოსული იყო ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც კლიენტელიზმით ცხოვრობდა, ვერ წარმოედგინათ პატრონის გარეშე არსებობა, ისინი გავლენით ცხოვრობდნენ და, თუ არ ექნებოდათ უცხოეთის გავლენა, მშივრები დარჩებოდნენ, საქმე არაფერი ექნებოდათ. ეს ადამიანები საკუთარი თავის გამართლებას იმაში ხედავდნენ, რომ თურმე მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირს უნდა ემსახურონ.

**„ამ ძალებმა სტუდენტები საპროტესტოდ გამოიყვანეს, ამ სტუდენტებიდან ზოგიერთი მათგანი იყო შემცდარი, ზოგიერთი მოტყუებული, დაახლოებით იგივე ვითარება იყო, „აზო თბილელში“ რომ არის აღწერილი, „ირხევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლეულთა“. სტუდენტები სუსტი, ჩამოუყალიბებელი ადამიანები არიან, სტუდენტი ჯერ ფორმირებული არ არის პიროვნებად და მას იოლად აცდუნებენ. ტელევიზიით გამაოგნებელი რამ გავიგონე, ეს პირდაპირ ფაშიზმი იყო, 50 წლის კაცს ეუბნებოდა ერთი ე.წ. სტუდენტი, რამდენი წლის ხარო? მან უთხრა, 50-ისო, ჰოდა, მალე მოკვდები შენ და ჩვენ გვაცალე ევროპაში შესვლაო... ამას რომ იტყვის ქართველი ადამიანი, ახალგაზრდა, რასაკვირველია, საქმე წამხდარია. რად მინდა ასეთი ცხოვრება? არც ეგეთი ევროპა მინდა, არც ეგეთი საქართველო, თუ ვინმე ასე აზროვნებს. ნჯო-ებმა გამოყარეს ეს ახალგაზრდები გარეთ ხმაურის ასატეხად“,** – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

ამასთან, განმარტავს, რომ ყველა ნჯო არ შეიძლება ერთნაირად შევაფასოთ, საუბარია მხოლოდ მათზე, ვინც ე.წ. წამყვან პოზიციებზეა, ისინი სწორედ გავლენის ჯგუფებით არსებობენ! ეს არის დასავლური გავლენის ჩვეულებრივი კლიენტელა.

დავით ზარდიაშვილის თქმით, სამწუხაროდ, ახალგაზრდობა ხედავს, რომ თუ რაიმე პერსპექტივა გინდა ამ ქვეყანაში, ამ კლიენტელას უნდა შეუერთდე. იურისტის კარიერა რომ გაიკეთო, უნდა შეხვიდე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ და ა.შ. ეს ეროვნული ნიჰილიზმის გაღვივებაა და ეს არის ტრაგიკული. ეს ნიშნავს, რომ უცხოელის გარეშე არაფრად ღირხარ, არანაირი პერსპექტივა არ გაქვს. თუმცა საკუთარი თავის რწმენას თუ დაკარგავ, იმ უცხოელსაც ასეთი „შნირი“, უვარგისი ადამიანი სულ არ სჭირდება.

**„90-იან წლებში ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობისთვის რომ იბრძოდა, მას შემდეგ ვითარება 180 გრადუსით შეტრიალდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სტუდენტობა თუ პროფესორ-მასწავლებლები მონობისთვის იბრძვიან და ვერ აცნობიერებენ, რომ განა მონობისთვის ბრძოლა შეიძლება?!“** – დასძინა დავით ზარდიაშვილმა.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# სპეკულაცია გრძელდება

(მეოთხე გვერდიდან) ხომ ვნახეთ ვინ და რა სახის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები - ვაშაძეები, ნათელაშვილები და მისთანანი პოზიორობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხისა და თავად ახალგაზრდების ცნობიერების მოწამვლაში, ხომ ვნახეთ, როგორ ადგენდნენ სახელმწიფოს გადატრიალების გეგმას! და რამდენჯერ და როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე. რამდენჯერ უნდა დაზარალდეს ქვეყანაც და ხალხიც. დაქვეითდეს ეკონომიკა, ერთ წინ გადადგმული ნაბიჯზე, ორი უკან გადადგმულ ნაბიჯი მოდიოდეს! მხოლოდ ასეთი ზარალის მომტან წინააღმდეგობებზე როდემდე უნდა იხარჯებოდეს სახელმწიფოს ძალისხმევა.?!

და ამიტომაც, სახელმწიფომ, ამ კანონის ინიციატორებთან ერთად, სწორად იმსჯელა და საჭიროდ ჩათვალა ახალგაზრდების მოთხოვნა - კანონის უკან გაწვევის შესახებ სრულად დაეკმაყოფილებინა. დიახ, დემონსტრანტებს ხომ ჰქონდათ ეს მოთხოვნა, ხომ შეასრულა ის მთავრობამ ქვეყნის დასაწყნარებლად? მერე, რა მივიღეთ? მივიღეთ ახალი მოთხოვნები. სააკაშვილის თემა ჩვენი ქვეყნის „კეთილმოსურნეებმა „უცხოელი აგენტების“ ახალი თემით ჩაანაცვლეს და ასე იქნება უსასრულოდ... მიზეზი არ დაელევათ! ახალგაზრდების ქუჩაში გამოყვანით რადიკალურმა ოპოზიციამ „ხეირი“ უნდა ნახოს, ეს მთავრობა გადააგდოს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს. როგორ, ეს ძნელად მისახვედრი და გამოსაცნობი ამოცანაა?

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენს დემონსტრანტებს საზღვარგარეთიდანაც შეაწიეს ხმა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა. რაც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი ამერიკიდან ჩვენი პრეზიდენტის – სალომე ზურაბიშვილის (მას მე დიდ პატივს ვცემ!) იმ განცხადებას. არ არის კარგი და, რაც მთავარია, არ არის დიპლომატიური ქმედება, როცა საქვეყნოდ შენ სამშობლოში (თუ ის შენია!) არეულობისაკენ უბიძგებ და კიდეც ამხნევებ ისედაც უარყოფითად დამუხტულ დემონსტრანტებს.

აქ შევჩერდები, თუმცა სათქმელი ბევრია. განა მთავრობა, რომელიც ათი წელია განაგებს ქვეყანას, ძვირფასი და საქებია? რამდენიც გინდა იმდენი შეცდომა აქვს დაშვებული, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ. ეს კანონ-პროექტი რომ კარგად არ გააცნეს ხალხს და მისი დამტკიცება იჩქარეს, განა ეს მოსაწონია?, მაგრამ მითხარით, რომელი მთავრობა გვყოლია ისეთი, ხალხი რომ კმაყოფილი ჰყავდეს, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია.

და ბოლოს, არ შემიძლია კიდევ ერთხელ (და ყოველთვის) არ გავიმეორო, რომ საქართველო დიდი ხანია თავს გრძნობს ევროპის ნაწილად და რასაკვირველია, ჩვენ გვინდა ევროკავშირში თანაბარუფლებიანი წევრობა, თუმცა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამაყი და თავისი ისტორიით ღირსეული ქართველი ხალხი ვერ შეცვლის თავის ფსიქოლოგიურ წყობას, ვერ უღალატებს თავის იდენტობას. ძვირფასო ევროპელებო, ჩვენო მეგობრებო, უნდა გახსოვდეთ, რომ პირველი თეთრკანიანი ევროპელი საქართველოს უძველეს მიწაზე ცხოვრობდა და დადიოდა!



**გულნარა სტურუა**

# POLITICO: ევროკავშირი მუშაობს კანონზე, რომელიც არასამთავრობო ჯგუფებს აიძულებს, გაამჟღავნონ დაფინანსება, რომელსაც ევროკავშირის გარედან იღებენ

**ევროკავშირი მუშაობს კანონზე, რომელიც აიძულებს არასამთავრობო ჯგუფებს, საკონსულტაციო კომპანიებსა და აკადემიურ ინსტიტუტებს გაამჟღავნონ ნებისმიერი დაფინანსება, რომელსაც ევროკავშირის გარედან იღებენ. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული გამოცემა POLITICO ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.**

როგორც გამოცემა POLITICO აღნიშნავს, დაგეგმილი კანონმდებლობა, რომელიც ძალიან ადრეულ ეტაპზეა, ასახავს ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში მოქმედ მსგავს კანონებს. შეერთებულ შტატებში, უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ აქტი 1938 წლიდან ავალდებულებს ლობისტებს, რომლებიც მუშაობენ უცხოური მთავრობების სახელით, დარეგისტრირდნენ ფედერალურ მთავრობაში.

ევროკომისიაში ოფიციალური წყაროს ცნობით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კანონის ევროკავშირის ვერსიის სამიზნე ინდივიდები იქნებიან, მაგრამ კანონი აიძულებს როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ ორგანიზაციებს გაამჟღავნონ დაფინანსება, რომელსაც ევროკავშირის გარედან იღებენ.

გამოცემა POLITICO აღნიშნავს, რომ კრიტიკოსები დროის არჩევანს უხერხულს უწოდებენ, რადგან ევროკავშირმა აღნიშნულ კანონზე მუშაობა ზუსტად მაშინ გააძლიერა, როდესაც საქართველოში მსგავსი კანონპროექტის გამო პროტესტი გაჩნდა.

**„აშკარად დელიკატური საკითხია. ჩვენ ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე ვართ, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრისგან ინფორმაციის შეგროვების ადრეულ ეტაპზე, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწორ მიდგომას ვიღებთ“,** – აღნიშნა ევროკომისიის ოფიციალურმა პირმა.

ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთებულნი არიან ევროკომისიის სახელით გაგზავნილი წინასწარი კითხვარის გამო, რომელშიც რესპონდენტებს უკვე სთხოვენ დეტალურად აღწერონ დაფინანსების წყაროები, რომელიც ევროკავშირის გარედან არის მიღებული.



# ილჰამ ალიევი: მომავალ წელს დავასრულებთ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოში მდებარე მონაკვეთის გაფართოებას

– ამის შესახებ განცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა ბერლინში წამყვანი გერმანული კომპანიების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე გააკეთა.

**„აზერბაიჯანი ამჟამად ინვესტიციას აბანდებს ბაქო-თბილისი-ყარსის ერთ-ერთი ვიწრო მონაკვეთის გაფართოებაზე – ეს საქართველოში მდებარე მონაკვეთია. შედეგად, ტვირთის გამტარუნარიანობა გაფართოვდება ერთი მილიონი ტონიდან ხუთ მილიონ ტონამდე. დამატებითი ინვესტიცია აზერბაიჯანის მხრიდან შეადგენს 120 მილიონ დოლარს. იმედია, ამ სამუშაოს მომავალ წელს დავასრულებთ“,** – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა. ალიევის თქმით, აზერბაიჯანი ასევე მუშაობს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის და საბაჟოს სისტემების ინტეგრაციაზე.

**„რამდენიმე დღეში ბაქოში ჩამოვა მსოფლიო საბაჟო კავშირის ორგანიზაციის დირექტორი და ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც განვიხილავთ, გახლავთ ის, თუ როგორ შეუძლია მსოფლიო საბაჟო კავშირის ორგანიზაციას, დაგვეხმაროს, რათა მოვახდინოთ კოორდინაცია ცენტრალურ აზიას, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის. ინტეგრირებულ მარშრუტს რომ მივაღწიოთ, აუცილებელია ერთიანი მიდგომა ტარიფების მიმართ. ერთი ქვეყანა, მაგალითად აზერბაიჯანი, თუ შეამცირებს ტარიფს და მეორე არ შეამცირებს, ან გააძვირებს, მაშინ ეს არ იმუშავებს“,** – განაცხადა ალიევმა.

# მომავალში აზერბაიჯანი გახდება ქვეყანა, რომელიც...

**მომავალში აზერბაიჯანი გახდება ქვეყანა, რომელიც ევროპაში არა მხოლოდ ბუნებრივი აირის, არამედ „მწვანე ენერგიის“ ექსპორტსაც განახორციელებს,** – ეს განაცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა გერმანიაში ვიზიტისას, გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან შეხვედრის შემდეგ, გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ალიევის განცხადებით, უკვე ხელმოწერილია რამდენიმე კონტრაქტი და ის დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანი მომავალში გახდება ევროპაში განახლებადი ენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა. მისივე თქმით, აზერბაიჯანს განახლებადი ენერგიის ფართო პოტენციალი გააჩნია. თავის მხრივ, გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანს აქვს პოტენციალი, დაეხმაროს გერმანიას და ევროპას ენერგიის მიწოდების დივერსიფიცირებაში.

**„აზერბაიჯანი არის მზარდი მნიშვნელობის პარტნიორი გერმანიისა და ევროკავშირისთვის. ქვეყანას აქვს პოტენციალი, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გერმანიასა და ევროპის ენერგიის მიწოდების დივერსიფიკაციაში. ეს ეხება როგორც ბუნებრივ აირს, ასევე განახლებადი ენერგიის გაფართოებას აზერბაიჯანში, რის შედეგადაც გაიზრდება განახლებადი ენერგიის ექსპორტიც“,** – განაცხადა ოლაფ შოლცმა.

# ქართული ჟურნალისტიკის დღე – 20 მარტი, და არა 21!

(მეხუთე გვერდიდან)

**მსოფლიო ისტორიაში კი – კალენდარულ სისტემათაგან განსაკუთრებული როლი შეასრულა სამმა: 1. ძველეგვიპტურმა, რომლის მიხედვით ყოველი წელი 365 დღისგან შედგება. ეს კალენდარი აჩქარებული იყო - ყოველ 4 წელში დღეღამტოლობა 1 დღით უფრო გვიანდელ თარიღზე ინაცვლებდა. 2. ამჟამინდელმა ძველმა სტილმა, რომლის ყოველი მეოთხე წელი ნაკიანი იყო (შეიცავდა 366 დღეს), დანარჩენები კი 365-ს. ეს სისტემა შენელებულია: დღეღამტოლობის თარიღები მასში უკან იხევენ, ყოველ 4 საუკუნეში 3 დღით. 3. ე.წ. ახალმა სტილმა, რომელშიც კალენდარული წლის ცდომილება 26 წამამდეა შემცირებული – 1-დღიანი ჩამორჩენა ყოველ 3700 წელიწადში.**

**ახ. სტილმა დღეღამტოლობა მთელ 4 ათასწლეულში ერთ თარიღზე შეაჩერა. წინა სისტემებში კონკრეტული თვე სხვადასხვა ეპოქაში წლის სხვადასხვა ნაწილში ექცეოდა.**

**ზემონათქვამის არცოდნა იწვევს ყველა კალენდარულ შეცდომას. დავასახელოთ ზოგი:**

**1. 1990 წელს გაზეთში „კაზადონი – 8“ დაიბეჭდა მკითხველის წერილი, რომლის ავტორის აზრით ი. გოგებაშვილის დაბადების თარიღი - 1840 წლის 15 ოქტომბერი ახ. სტილით 28 ოქტომბერს შეესაბამება და არა 27-ს, რაც იხსენიებოდა ყველა წყაროში. ავტორი ითხოვდა „შეცდომის“ გასწორებას. ამავე გაზეთის 1 დეკემბრის ნომერში წერილში „თარიღი სწორია“, მე ვაჩვენე, რომ გასასწორებელი არაფერი იყო.**

**2. 1991 წლის 22 მაისს გაზეთში „ერი“ გამოქვეყნდა საიუბილეო წერილები, საერთო სათაურით „16(29) მაისი: იაკობ ნიკოლაძე 115“. ამავე გაზეთში 5 ივნისს გამოვაქვეყნე წერილი „როდის დაიბადა დიდი ქართველი მოქანდაკე“, რომელშიც ვაჩვენე, რომ სწორი თარიღი 28 მაისია.**

**3. 1992 წ. 10 იანვარს გაზეთში „თბილისი“ გამოვაქვეყნე წერილი „კალენდარული პრობლემები და გ.ტაბიძის დაბადების თარიღი“, რომელშიც ვაჩვენე, რომ სწორი იყო თარიღი 5(17) .11. 1891 და არა 5(18), როგორც ერთ-ერთი ავტორი ითხოვდა (სტილთა სხვაობა ამ დროს 12 დღე იყო!).**

**4. ენციკლოპედიური ლიტერატურის შესწავლამ მიჩვენა, რომ ასეთივე ხარვეზებია ათეულობით ბიოგრაფიული თარიღის ახალსტილოვან შესატყვისებში. ეს ხარვეზები დავაფიქსირე პრესაში.**

**კიდევ ერთ ნიმუშად მოვიტან ამონარიდს ჩემი წერილიდან „წერის მაღალი კულტურისათვის“, წერილი მეოთხე („ლიტერატურული საქართველო“, 27. XII. 2013), რომელშიც ახსნილია მოვლენის ასტრონომიული მხარეც.**

**„ისტორიული ჟანრის ბრწყინვალე თხზულებაში ამოვიკითხე: „დღე დათქმული აჯანყებისა – 25 მარტი (7 აპრილი) 1625 წლისა, დღესასწაული – ხარება“. ტექსტი გიორგი სააკაძის მხედართმთავრულ ხელოვნებას ეძღვნება და თითქოს საიდან უნდა გაჩენილიყო მასში რაიმე უზუსტობა? ენობრივი ლაფსუსი მასში არცაა, სამაგიეროდ არის ფაქტობრივი უზუსტობა. კერძოდ თარიღი მოყვანილია ორივე სტილით – ძველითა და ახლით. პირველი – იულიუსის კალენდარია, რომელიც ჩვ. წ-მდე 46 წელს შემოიღო რომის იმპერატორმა იულიუსმა, მეორე კი – გრიგორიუსის კალენდარი, რომელიც 1582 წელს რომის პაპმა გრიგოლ XII დაამკვიდრა და რომელიც იულიუსის წელთაღრიცხვის ერთგვარი დაზუსტებაა. ყველამ იცის, რომ ახალი სტილი 13 დღით უსწრებს ძველ სტილს, ანუ ნებისმიერ ისტორიულ თუ ბიოგრაფიულ ძველსტილოვან თარიღს 13 დღე უნდა დავამატოთ, რათა მისივე ახალსტილისეული თარიღი მივიღოთ. მაგრამ ეს ასე მხოლოდ თანამედროვე ეპოქაშია, სახელდობრ კი, 1900 წლის 29 თებერვლიდან 2100 წლის 29 თებერვლამდე. სხვა ეპოქებში კი ვითარება სხვაგვარია.**

**საქმე ისაა, რომ ახალი სტილი უფრო სწრაფი წელთათვლაა, ვიდრე ძველი სტილი (ამიტომვეა იგი მასზე უფრო ზუსტი). მისი წინსწრება ძველი სტილის მიმართ დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება. ამაზე ბევრგან დამიწერია და აქ მხოლოდ შევახსენებ მკითხველს, რომ ძველი სტილით ნაკიანია ანუ 29 თებერვალს შეიცავს ყოველი მეოთხე წელიწადი, ახლით კი ამათგან მარტივ (365-დღიან) წლებადაა გადაქცეული 4-ის არაჯერად საუკუნეთა ბოლო წლები, მაგალითად 1700, 1800, 1900, 2100, 2200 და ა.შ. აქედან კი ჩანს, რომ პაპის რეფორმიდან 1700 წლამდე სტილთა სხვაობა 10 დღე იყო, 1700 წლის მარტიდან იგი გახდა 11 დღე, 1800 წლის მარტიდან – 12 დღე, 1900 წლიდან – 13 დღე, 2100 წლიდან გახდება 14 დღე და ა.შ. ამ ცხრილის შესაბამისად, 1625 წელს ახალი სტილი ძველ სტილს 10 დღით უსწრებდა და არა 13-ით, ამიტომ ამ წლის 25 მარტს ახალი სტილით 4 აპრილი იყო და არა 7 აპრილი. ტექსტიც ამის შესაბამისად უნდა გასწორდეს.“**

**ახალი სტილით ძველსტილოვან თარიღთა გამოსახვისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რას უდრიდა სტილთა სხვაობა სათანადო ეპოქაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის ყველაზე ძველი პერიოდები...**

**ახლა თქვენს თხოვნას დავუბრუნდეთ. ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ თქვენ მიერ დასახელებული ძველი სტილით 1819 წლის 8 მარტი ახალი სტილით 20 მარტს შეესაბამება და არა 21-ს, რადგან XIX ს-ში სტილთა სხვაობა 12 დღე იყო და არა 13“.**

* * *

ძვირფასო მკითხველო, „ბევრად უფრო იოლია შეცდომის პოვნა, ვიდრე ჭეშმარიტებისა. შეცდომა ზედაპირზე ძევს და მას ადვილად შენიშნავ, ხოლო ჭეშმარიტება სიღრმეშია მიმალული და ყველას როდი შეუძლია მისი მიკვლევა.“

ეს სიტყვები, გოეთეს ეკუთვნის და საგანგებოდ შევარჩიე, რომ წერილის დასასრულს ქართული ჟურნალისტიკის სადიდებელი ერთი იდეა-წინადადება მეთქვა.

აგერ, 20 მარტს, ორშაბათს, მართლმადიდებლური ქრისტიანული კალენდრით ანგელოზთა კრებულის დღეს, ქართულ ჟურნალისტიკას 204 წელი უსრულდება. „იმისთანა წმინდა საქმეს“ (ილია), როგორიც ქართული ჟურნალისტიკაა, მრავალი ათასი კალმოსანი ავად თუ კარგად ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება. მაგრამ ამჯერად, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ სიტყვით გამოხატული სიმართლე, საუკუნეებში ნაწრთობი ჭეშმარიტება გვინდა.

ამიტომ კარგი იქნებოდა, მოგვეძია ალიაზნისპირეთიდან ფსოუსპირეთამდე 200 წლის განმავლობაში გამომავალ ყველა ტიპის გაზეთში მიმობნეული, ასევე რადიოთი და ტელევიზიით გახმიანებული სხვადასხვა თაობის ჟურნალისტთა 200 ნაწარმოები და გამოგვეცა ქრონოლოგიური პრინციპით (1819-29, 1829-39 და ა.შ.) ათწლეულებად დალაგებული სასაჩუქრე წიგნი. საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნაწარმოების არჩევისა და მკითხველამდე მიტანის კრიტერიუმი მარტივია და მაძიებელ მკითხველსა თუ მკვლევარს აქვე მოვახსენებთ – ეს არის ეროვნული იდეალებისა და სიმართლის ერთგულება, ზნეობრივ და სულიერ ღირებულებათა პატივისცემა, ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება, მტკიცე ჰუმანისტური პოზიცია.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული ნიშნების გათვალისწინებით შედგენილი ორსაუკუნოვანი ქართული ჟურნალისტიკის საუნჯე – სასაჩუქრე გამოცემა (ერთი ან ორი ტომი) ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის კარგი მეგზური, ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერების მართალი სიმბოლო იქნება.



**გვანჯი მანია,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

# რუსეთი არმია თითქმის ნახევარი მილიონი ჯარისკაცით გაიზრდება

**რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 1 აპრილიდან კონტრაქტორების ახალი ჯგუფის მიღებას იწყებს – გეგმაშია ნოემბრამდე, რუსეთის არმიის 400 000 ჯარისკაცით შევსება. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ რეგიონებში დოკუმენტები დაგზავნა, რომლებშიც მითითებულია, თუ რამდენმა ადამიანმა უნდა მოაწეროს კონტრაქტებს ხელი. როგორც „რადიო თავისუფლება" აღნიშნავს, ერთდროულად რამდენიმე რუსულმა რეგიონალურმა მედიასაშუალებამ დაასახელა კონტრაქტორთა საერთო რაოდენობა, რომელიც რუსული არმიის შევსების აუცილებელ რაოდენობად (400 000) სახელდება.**

საქმის ძირითადი ნაწილის შესრულება სამხედრო კომისარიატებს აქვთ დავალებული, ხოლო გეგმის შესრულებას მეთვალყურეობას გუბერნატორები გაუწევენ. ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ჩელიაბინსკის და სვერდლოვსკის ოლქებში 10-10 ათასი, ხოლო პერმის რეგიონში 9 000 ჯარისკაცი უნდა იქნას არმიაში ჩარიცხული.

# უკრაინელებს გაწვრთნილი ჯარისკაცებისა და საბრძოლო მასალის დანაკლისი აქვთ



**გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების ხარისხი, რაც რუსეთთან ბრძოლისას უპირატესობად ითვლებოდა, ერთწლიანი ომის დროს მიღებული დანაკარგის გამო საგრძნობლად გაუარესდა. სტატიაში ნათქვამია, რომ ამის შედეგად ყველაზე გამოცდილი უკრაინელი ჯარისკაცების ნაწილი ბრძოლის ველს გამოაკლდა, რამაც აიძულა ზოგიერთი უკრაინელი მაღალჩინოსანი, ეჭვი შეეტანა კიევის მზადყოფნაში, გაზაფხულზე კონტრშეტევა წამოიწყოს.**

როგორც სტატიაშია ნათქვამი, აშშ-ის და ევროპის ოფიციალური პირების გათვლით, გასული წლის დასაწყისში 120 000 უკრაინელი ჯარისკაცი დაიღუპა ან დაიჭრა, ხოლო რუსეთის მხრიდან დანაკარგი 200 000-ს შეადგენს. თუმცა, როგორც „ვაშინგტონ პოსტი" წერს, რუსეთის შეიარაღებული ძალები უფრო მრავალრიცხოვანია და რუსეთის მოსახლეობის რაოდენობა სამჯერ აღემატება უკრაინისას. სტატიაში ნათქვამია, რომ უკრაინა დანაკარგების შესახებ ინფორმაციას ყველაზე მტკიცე მოკავშირეებსაც კი არ უზიარებს. ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ გამოუცდელი წვევამდელების ნაკადმა, რომლებიც ჯარში დანაკარგების შესავსებად გამოიძახეს, შეცვალა უკრაინის შეიარაღებული ძალების პროფილი. ამას ემატება ისიც, რომ უკრაინელები ფრონტის ხაზის ზოგიერთ მონაკვეთზე განიცდიან საბრძოლო მასალის მწვავე დანაკლისს, მათ შორის საარტილერიო ჭურვებისას. ანალოგიური განცხადება გააკეთა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ანდრეი ერმაკმაც.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლალი აბრამიშვილის და ალექსანდრე აბრამაშვილის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:
ლალი აბრამიშვილი (პ/ნ 01006018888), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, 4 მ/რ, კორპ. 34, ბინა №6
ალექსანდრე აბრამაშვილი (პ/ნ 01006010133), თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის ქ. 14, ბინა 34
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, 4 მ/რ, კორპ. 34, ბინა №6 (საკადასტრო კოდი: 01.14.16.009.189.01.006 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 77597.73 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 11 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87573623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 875736
6. **მოვალე:** ლალი აბრამიშვილი (პ/ნ 01006018888), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, 4 მ/რ, კორპ. 34, ბინა №6
შპს „კ-სტუდიო" (ს/ნ 405350258), თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) ქ. №2ა-ს მომიჯნავედ
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87573623; ლოტის ნომერი: 875736).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 28 მარტის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოგიტა ადამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79 (საკადასტრო კოდი: 29.17.31.023 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 71096.14 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 16 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87573123;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 875731
6. **მოვალე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79;
ლელა ტეფანია (პ/ნ 53001017738), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271 ძ 87573123; ლოტის ნომერი: 875731).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 28 მარტის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ოლეგი მარგველანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, სოფელი კრწანისი (საკადასტრო კოდი: 81.04.22.071 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 36352.78 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 16 მარტი, 14:00 საათი.
**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 28 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87573023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 875730
6. **მოვალე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33;
ნიკო მარგველანი (პ/ნ 12001093579), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87573023; ლოტის ნომერი: 875730).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 28 მარტის 10:00 საათამდე.

ხვიჩა კვარაცხელიას ინტერვიუ „ნიუ იორკ თაიმსთან“

# გულით ვთამაშობ... მაგრამ, ტვინის გარეშე უკეთესი ვერასოდეს გახდები

**„ნიუ-იორკ თაიმსი“ საქართველოს ნაკრებისა და „ნაპოლის“ თავდამსხმელს, ხვიჩა კვარაცხელიას ესაუბრა და საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა.**



ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლიში“ ვარსკვლავი ცხრა თვეში გახდა. ყველაფერი ისე ბედნიერად მიდიოდა, ისე წარმოუდგენლად მშვიდად, რომ ზოგი რამ დაუჯერებლად ეჩვენება.

**„მას შემდეგ, რაც ჩამოვედი, მეჩვენება, რომ სიზმარში ვარ**“, – ამბობს ხვიჩა.

კვარაცხელია ასეთ იმედისმომცემ მოთამაშედ არ ითვლებოდა 20-21 წლის ასაკში, როდესაც ყაზანის „რუბინში“ თამაშობდა, უღიმღამო რუსულ გუნდში, რომელიც ერთ-ერთ მეორეხარისხოვან ლიგაში ასპარეზობს. ეს არ არის ის ლიგა, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ მოთამაშე, რომელიც მაშინვე მსოფლიოში ყველაზე დამანგრეველ შემტევებს შორის გამოჩნდება.

კვარაცხელია „ნაპოლიში“ გასულ ზაფხულს 10 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი თანხის საფასურად ჩავიდა (ბათუმის „დინამოდან“, საქართველოდან, ყაზანელებთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ). იტალიური მხარე, როგორც ჩანს, მას ორი წელი აკვირდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ გულშემატკივრებმა კვარადონა და კვარავაჯო შეარქვეს. საქართველოში ერთმა ავიაკომპანიამ ნეაპოლში, „ნაპოლის“ საშინაო თამაშებზე ქართველების დასასწრებად ჩარტერული ფრენების ორგანიზება დაიწყო – დიეგო არმანდო მარადონას სტადიონზე ყოველი შეხვედრისას ერთ პატარა კუთხეში საქართველოს დროშებით რამდენიმე ასეულ მის თანამემამულეს მუდამ შეხვდებით – კონკრეტულად მის სანახავად.

შობას კვარაცხელიას აგენტმა თქვა, რომ „მანჩესტერ სიტის“ დაახლოებით 100 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს, რაც „ნაპოლის“ დააფიქრებდა, ახალწვეულ ფენომენზე ფული გამოემუშავებინა. თუმცა, ეს ხვიჩას არ აწუხებს: **„დასაწყისი ისეთი იყო, რომ სიზმარი მეგონა. რაღაც მომენტში, მივხვდი, რომ ეს იყო არა ოცნება, არამედ რეალობა და საკუთარ თავში ძალა უნდა მეპოვა, რომ ეს ყველაფერი გადამეხარშა“.**

სრულყოფილად საუბრობს ინგლისურად, კარგად და დეტალურად – ქართული ღვინის სამკურნალო თვისებებზე, მაგრამ იტალიაში გადასვლის შემდეგ პირველი სერიოზული ინტერვიუ თბილისელი თარჯიმნის დახმარებით ამჯობინა.

**„მადლობელი ვარ იმ სიყვარულისა და დამოკიდებულებისთვის, რასაც ხალხი ჩემ მიმართ იჩენს. ისინი მაქებენ, რაც ასევე მოტივაცია და შთაგონებაა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ყველა თამაშში უნდა დავამტკიცო, რომ შემიძლია შევასრულო ის, რასაც დავპირდი“. სერია A-ში სადებიუტო სეზონში ჩატარებულ 21 თამაშში კვარაცხელიამ გაიტანა 11 გოლი და 9 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მათ შორის იყო შაბათს გატანილი ზღაპრული გოლი, როდესაც სლალომით ექვს მცველსა და მეკარეს აჯობა.**

ამან გამარჯვებამდე მიიყვანა „ნაპოლი“, რომელმაც სერია A-ში მილანის „ინტერთან“ უპირატესობა 18 ქულამდე გაზარდა. „ნაპოლი“ 33 წლის განმავლობაში იტალიის პირველი ტიტულისკენ მიისწრაფვის და ამის მიზეზი კვარაცხელიაა.

მისი ყველაზე დიდი ღირსება ფანტაზიაა, რაც ქართველის დამახასიათებელი ნიშანი გახდა: **„თავისუფლება ჩემი სტილია. ეს არის ის, რასაც ვაღიარებ. იმიტომ, რომ მიყვარს რასაც ვაკეთებ. როცა ვთამაშობ, ეს ძალიან მხიბლავს“.**

საუბრობს მოულოდნელი წარმატების სათავეზე. „ნაპოლიში“ გადასვლამდე ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ჰქონდა კლუბის გამოცდილ მწვრთნელთან, ლუჩანო სპალეტისთან: **„კარგი საუბარი იყო. მითხრა, რა უნდა გავაკეთო გუნდისთვის. ბევრი ვისაუბრეთ დაცვის დახმარების და გუნდური სულისკვეთების მნიშვნელობაზე და როგორ გავმხდარიყავი გუნდის ნაწილი. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია – სულისკვეთება“.**

ეს სულაც არ იყო ის, რასაც კვარაცხელიასნაირი ნიჭის მქონე „მუსიკოსისგან“ მოელოდნენ – სპონტანური და იმპროვიზატორი მოთამაშისგან. ის უნდა ყოფილიყო არა როგორც სოლისტი, არამედ ანსამბლის წევრი.

იტალიელი მწვრთნელები ცნობილები არიან იმით, რომ იციან, როგორ ათამაშონ ფეხბურთელი. მათი მიზანია, ნიჭი ბოლომდე გამოიყენონ, ფეხბურთელმა ითამაშოს გულით და ემოციით, მაგრამ ასევე უნდა ითამაშოს გონივრულად.

ის, რაც გენიოსის ექსპრომტად ნამუშევრებს ჰგავს, კვარაცხელიასთვის სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებული ნიმუში: **„ჩემს თამაშში არის გულიც და აზრიც. ტვინს თუ არ გამოიყენებ, უკეთესი ვერასოდეს გახდები, მაგრამ თავისუფლება ჩემი სტილია. ეს არის ის, რასაც საკუთარ თავში ვაღიარებ. ეს იმიტომ, რომ მე მიყვარს, რასაც ვაკეთებ“.**

იგი აღიარებს, რომ გუნდებმა, განსაკუთრებით, იტალიაში, მის წინააღმდეგ თავის დაცვა სხვანაირად დაიწყეს. ის შეიძლება ვარსკვლავივით არ იქცევა და თავს ასეთად არ გრძნობს, მაგრამ ვარსკვლავად მეტოქეები აღიარებენ: **„ვგრძნობ, რომ გუნდები თამაშს ჩემი ფაქტორის გათვალისწინებითაც აგებენ“.**

**ეს მას არ აწუხებს. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კომპლიმენტად იღებს. მისი ჩამოსვლიდან ცხრა თვის შემდეგ „ნაპოლის“ ყველა მეტოქემ იცის, რომ თუ მათ აქვთ რაიმე შანსი, უნდა მიაღწიონ წარმატებას იქ, სადაც ბევრმა სხვამ ვერ შეძლო – უნდა მოძებნონ გზა, რომ ხვიჩა კვარაცხელია, ნეაპოლელთა სენსაცია, იტალიის ჩემპიონატისა და ევროპის ვარსკვლავი კომფორტის ზონიდან გამოიყვანონ,** – წერს ამერიკული გამოცემა.

**ჩემპიონთა ლიგა: პორტუ – ინტერი 0:0 (0:1), სიტი – ლაიფციგი 7:0(1:1).**

ტატამზე

# ზვიადის გრან-პრი



**ქართველი პარაძიუდოისტი ზვიად გოგოჭური 2023 წლის ალექსანდრიის გრან-პრის გათამაშების ოქროს მედლის მფლობელია.**

გოგოჭურმა +90 კილოგრამ წონით კატეგორიაში 3 შეხვედრა მოიგო. მან თავდაპირველად ყაზახი პარასპორტსმენი დაამარცხა, ნახევარფინალურ ბრძოლაში კი ბრიტანელ პარალიმპიურ ჩემპიონს სძლია. რაც შეეხება ფინალს, ქართველმა ფალავანმა უზბეკ პარასპორტსმენს მოუგო და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

გეტყვით, რომ სულ ტურნირზე 33 ქვეყნის 161 სპორტსმენი გამოდის, რომლებიც 2024 წელს პარიზში გასამართავი პარალიმპიადის საგზურისთვის იბრძვიან. რაც შეეხება ქართველებს, საქართველო ეგვიპტეში 6 ძიუდოისტით არის წარმოდგენილი.

აუზში

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპი ხმაურიანი გამარჯვებით დაასრულა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ოლიმპიური ჩემპიონი სერბეთი დაამარცხა!**

# სერბეთი დავამარცხეთ!



დეიან სტანოიევიჩის შეგირდებმა მეტოქეს პენალტების სერიაში აჯობეს. პირველი პერიოდი საქართველომ 4:2 მოიგო, მომდევნო ორი მეოთხედი ერთნაირი ანგარიშით 2:3 წააგო, ხოლო ბოლო პერიოდში ფრე დაფიქსირდა – 3:3.

ყველაფერი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, სადაც ქართველმა წყალბურთელებმა 12:11 იმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში 5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა. ქართველმა წყალბურთელებმა ჯგუფში ავსტრალიას და სერბეთს მოუგეს, ხოლო ესპანეთთან, საბერძნეთსა და მონტენეგროსთან წააგეს.

კარატე

# ოქრო ტრევიზოდან

**იტალიის ქალაქ ტრევიზოში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატეში, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ამ დიდ და პრესტიჟულ ტურნირზე, სადაც 20-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ჭაბუკა მახარაძემ ოქროს მედალი და I ადგილი მოიპოვა კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო ვენეციის შოტოკან კარატეს ფედერაცია.**

იტალიაში სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე ჭაბუკა მახარაძე 15 წელზე მეტია რაც წარმატებით ასპარეზობს და მოპოვებული აქვს უამრავი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. 2022 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ჭაბუკა მახარაძის სპორტულ კარიერაში, აგვისტოში მან იაპონიაში, ტოკიოში გამართულ კარატეს მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ოქროს მედალი მოიპოვა და მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული სპორტსმენი და წარმატებული ინსტრუქტორი, არის შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებზე ის 1998 წლიდან რეგულარულად წარმატებით ასპარეზობს, მოპოვებული აქვს ყველა სინჯის: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს, საერთო ჯამში 100-ზე მეტი მედალი.

**ჭაბუკა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი:**

– ტრევიზოში შოტოკან კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ეს მასშტაბური და პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირია, დიდ სპორტულ კომპლექსში ერთდროულად 6 ტატამზე მიდიოდა ასპარეზობები. ამ ჩემპიონატზე კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში გამოსვლისას პირველ წრეში 2:0 დავამარცხე პედრო აგუილარი (იტალია), მეორე წრეში 2:1 მოვუგე ნაიმ მოჰანდს (ისრაელი), მესამე წრეში 2:0 დავამარცხე ფაბიო ზამბონინი (იტალია) და მეოთხე ფინალურ წრეში ალბერტო ჯოვანი რევაზისთან (იტალია) სპარინგში იპონით სუფთა გამარჯვება მოვიპოვე I ადგილისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველა სპორტსმენი პროფესიონალიზმით არის გამორჩეული, მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებულები და მეც ყველა ბრძოლა ასე დამაჯერებლად მოვიგე. მიხარია, რომ სპორტული კალენდარი, 2023 წელი ოქროთი გავხსენი, რაც ჩემთვის არის სტიმული, მოტივაცია, რომ მომავალში კვლავ ღირსეულად ვიასპარეზოთ და საქართველოს დროშა ღირსეულად ავაფრიალოთ ევროპაში. იტალიაში სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე მრავალჯერ გამოვსულვარ და აღებული მაქვს ყველა სინჯის მედალი: ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, – ჯამში 15-მდე მედალი.



2022 წელი ჩემს 25-წლიან სპორტულ კარიერაში გარდა იმისა, რომ დატვირთული იყო, არაერთ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით მივიღე მონაწილეობა, მნიშვნელოვანი გამოდგა იმ მხრივ, რომ ერთ წელიწადში ავიღე 2 სპორტული ტიტული, – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონისა. როგორც იცით, აგვისტოში ტოკიოში შოტოკან კარატე დოს XV მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ოქროს მედალი ავიღე უფროსებს შორის ინდივიდუალური კატასა და კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიებში. ასე რომ, 2022 წელს მსოფლიო ჩემპიონი გავხდი მეოთხედ, ევროპის ჩემპიონი კი მეხუთედ. რადგანაც 2022 წელს საქართველო-იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობების 30-წლიანი იუბილე აღინიშნა, ამიტომ იაპონიაში ჩემი გამარჯვება მე ამ მრავალწლიან მეგობრობას მივუძღვენი.

სპორტულ შედეგებთან ერთად მნიშვნელოვანია ყოველწლიურად კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლება. ამიტომ მე წლების განმავლობაში მონაწილეობას ვიღებ საერთაშორისო საწვრთნელ შეკრებებსა და სემინარებზე, რაც პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელია და საჭირო. მაქვს მრავალი საერთაშორისო სერთიფიკატი, ვარ შავი ქამრის მე-5 დანის მფლობელი. მსოფლიოს კარატეს ფედერაციებიდან ოფიციალურად მაქვს ინსტრუქტორის, მსაჯის, ეგზამინატორის საერთაშორისო ლიცენზირებული სერთიფიკატები.

# დიდმარხვის III კვირიაკე ჯვრის თაყვანისცემა



**18 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მიცვალებულებს, რომლებიც გარდაიცვალნენ ავადმყოფობით, პანდემიით, უპატრონოდ, ბრძოლის ველზე, მიწისძვრისას, მათი სულის საოხად ტაძრებში მღვდლები იხდიან პანაშვიდს...**

*   *   *

**19 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ჯვრის თაყვანისცემას.**

დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ხდება პატიოსანი ჯვრის საკურთხევლიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანება. მრევლი თაყვანის ცემით მუხლს იდრეკს და ეამბორება მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს. ამ წესით წმიდა ეკლესია შეგვაგონებს, ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს... მაცხოვარმა ხომ ჯვრით სძლია ცოდვას, სიკვდილს და ჯოჯოხეთს! საგულისხმოა ისიც, რომ შუა მარხვაში ჯვრის თაყვანისცემა დადებულია იმისთვის, რომ მმართველი მორწმუნენი განამტკიცოს სულიერად.

**გიული ლიპარტია**

# 150 მლნ დოლარის ღირებულების პროექტი სოფლად...

**„საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის ირიგაციის და მიწის პროექტის“ (GRAIL) ფარგლებში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია განხორციელდება.**

შედეგად, საპროექტო ტერიტორიებზე გაუმჯობესდება სარწყავი და სადრენაჟე მომსახურება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება; წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის რაოდენობა, დამატებით, 27 000 ჰექტარამდე გაიზრდება; ეროვნულ დონეზე გაძლიერდება ირიგაციისა და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები. პროექტის მიზანია, სრულად შეცვალოს და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოდერნიზება გაუკეთოს სამელიორაციო სისტემების მართვას, რაც თავის მხრივ, შეამცირებს როგორც საექსპლუატაციო, ისე ბუნებრივი რესურსის ხარჯს. მართვის თანამედროვე სისტემა გულისხმობს მთელი რიგი ტექნოლოგიური და პროგრამული ნოვაციების დანერგვას. პროექტის განსახორციელებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ინტენსიურ რეჟიმში მართავენ შეხვედრებს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან. საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის ირიგაციის და მიწის პროექტი, რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება და 6 წელს გასტანს.

# საბაჟოზე არადეკლარირებული თანხა შემოჰქონდათ!

**2023 წლის 1 იანვრიდან 10 მარტის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა ჯამში: 224 453 აშშ დოლარი, 11 885 ევრო, 200 000 შვეიცარიული ფრანკი, 79 500 რუსული რუბლი, 4 200 თურქული ლირა და 723 300 (ლირა) ღირებულების ფასიანი ქაღალდები გამოავლინეს.**

მათივე ინფორმაციით, არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით 1 304 230.79 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით, საერთო ჯამში 36 000 ლარით დაჯარიმდნენ.

ამასთან, ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სხვა კანონდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით (თანხის 10%- ის ოდენობა), 24 224,78 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო ერთ შემთხვევაში დეკლარირებას დაქვემდებარებული თანხა მოქალაქეს სრულად ჩამოერთვა და მას სანქციის სახით ჯარიმა 581 489,76 ლარი შეეფარდა.

# სიტყვის ნობათი თელავიდან

**გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2023 წლის პირველი ნომერი.**

ჟურნალი იხსნება **ზაალ ბოტკოველის წერილით** – „ჩემი პატრიარქი“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება: **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება); **ელგუჯა თავბერიძის, მარიამ ძამუკაშვილის, როლანდ გიორგაძის, მაია კაკაურიძის,** პროზაული ნაწარმოებები; **შავლეგო არაგველის, თინათინ თელაველის, ანა მანოშვილის, ვაჟა მიროტაძის, სალომე ბზარაშვილის, ნათია მჭედლიშვილის, ნათელა ქურციკიძის** ლექსები.

რუბრიკით „ბავშვებისათვის საკითხავი“ იბეჭდება **მარიამ ნიქაბაძის** ზღაპარი „კოკორა და პაწკო“.

„თარგმანების“ რუბრიკაში წაიკითხავთ **ჯაკომო ლეოპარდის**




მოთხრობას „ბუნებისა და სულის საუბარი“ თარგმნა **მაია ტურაბელიძემ** და **ანა ახმატოვას** ლექსს „ნაცრისფერთვალება მეფე“, თარგმნა **მაია მიქაიამ**.

„ქრისტიანული რწმენის“ რუბრიკით გაეცნობით **მზია თვალაბეიშვილის** „ლოცვა – მამაო ჩვენო“!.

აუცილებლად დაგაინტერესებთ **სოსო მეგუთნიშვილის** წერილი „წინაპართა ნაკვალევზე“.

რუბრიკაში „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“, ქვეყნდება „იუბილარი სამხატვრო სკოლა“, „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“, ლიტერატურული კონკურსი „ჩვენ მოვდივართ“. მოამზადა **ნუნუ ძამუკაშვილმა.**

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია **ელენე ახვლედიანის** პორტრეტი. მხატვარი **ვანო გოცირიძე.**

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი),** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი)** მხარდაჭერით.

**განცხადება**

**2023 წლის 15 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. ს. ს. „ტრანსპორტელის“ 2022 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და წლიური ბალანსის განხილვა;**

**2. განცხადებების განხილვა;**

**3. სხვადასხვა.**

**მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა №51.**



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის გამგეობის წევრი, გამოჩენილი პოეტი და ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატი, შეუდარებელი სიკეთისა და სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული კოლეგა და მეგობარი**

**მთვარისა კერესელიძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, დიდებული საავტორო გაზეთების გამომცემელი, უზადო პიროვნული ხიბლის მქონე, გაზაფხულივით მშვენიერი პიროვნება, კოლეგა და მეგობარი**

**მთვარისა კერესელიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობარ მწერლებს და სრულიად საქართველოს.**

**გაზეთი „ასავალ დასავალი“ ღრმა მწუხარებით აუწყებს მკითხველს, რომ გარდაიცვალა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტი, სულიერი და ფიზიკური მშვენიერებით გამორჩეული ულამაზესი ქალბატონი**

**მთვარისა კერესელიძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**



**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ენერგეტიკოსის**

**გიორგი გიგიბერიას**

**გარდაცვალების გამო, რომლის 100 წლის იუბილე კავშირმა აღნიშნა 2023 წლის 31 იანვარს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

**უახლოესი მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან მწუხარებით იუწყებიან, რომ ძვირფას კოლეგას მაია ნეფარიძეს გარდაეცვალა დედა**

**დოდო გაფრინდაშვილი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# კახეთი - მსოფლიოს 10 აღმოუჩენელი ღვინის რეგიონი

**გავლენიანი სამოგზაურო გამოცემა Lonely Planet მკითხველს საქართველოში მოგზაურობას და ღვინის დაგემოვნებას ურჩევს. სტატიის ავტორის თქმით საფრანგეთის, ავსტრალიის, კალიფორნიის ღვინის რეგიონები მთელ მსოფლიოში პოპულარულია, მაგრამ ნაკლებად ცნობილია ისეთი ადგილები, სადაც საუკუნოვანი ვენახები და უგემრიელესი ღვინო მზადდება. ეს რეგიონები ღვინის მოყვარულთა რადარებზე უნდა აღმოჩნდეს** – წერს Lonely Planet და მკითხველს საქართველოში მოგზაურობას და ქართული ღვინის დაგემოვნებას ურჩევს.




**„ქართული ღვინო ყველაზე განსხვავებულია. საქართველოში ღვინის თიხის ჭურჭელში (ქვევრში) დამზადების 8 ათასწლოვანი ისტორია აქვთ, რომელიც უძველესია. ანტიკურ პერიოდში როდესაც ბერძნები პირველად ჭყლეტდნენ ყურძნის მტევნებს, ქართველებს უკვე ღვინის მომზადების ათასწლოვანი ტრადიცია ჰქონდათ, მას შემდეგ ტრადიციული ღვინის დამზადების ტექნოლოგია სულ ოდნავ შეიცვალა. ყურძნის მტევნებს კვლავც ხელით კრეფენ, ფეხით ჭყლეტენ საწნახელში, ყურძნის წვენს მიწისქვეშ მდებარე თიხის ჭურჭელში ინახავენ, სადაც ფერმენტაცია ხდება. კახეთი საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ღვინის რეგიონია. პატარა ქალაქი სიღნაღი რეგიონის კულტურული დედაქალაქია, რომლის ქვაფენილით მოკირწყლულ ქუჩებშიც მარნებია ჩამწკრივებული.**

**კახეთში მოგზაურობისას გახსოვდეთ, ყველაზე მაგარ ღვინოს არა ღია ცის ქვეშ, არამედ სოფლებში, უკანა ეზოებში ჩამარხულ ქვევრში აღმოაჩენთ“,** – წერს Lonely Planet-ის ჟურნალისტი.

**P. S.** Lonely Planet-ის ვებ-გვერდს ყოველთვიურად 10 მილიონზე მეტი მკითხველი სტუმრობს. გამოცემას Twitter-ზე 6 მილიონზე მეტი, ხოლო Twitter-ზე 3.3 მილიონი გამომწერი ჰყავს.



## ხამენეიმ 22 000 ადამიანი შეიწყალა

**ირანის სასამართლო ხელისუფლებამ 22000 ადამიანი შეიწყალა, რომლებიც ანტისამთავრობო საპროტესტო აქციებში მონაწილეობდნენ.**

მანამდე კი, ირანული მედია ათიათასობით პატიმრის შეწყალების შესახებ იუწყებოდა. შეწყალებას ხელი ირანის უზენაესმა ლიდერმა ალი ხამენეიმ მოაწერა. მან არ დააკონკრეტა რა პერიოდის განმავლობაში მოხდა შეწყალება. გარდა ამისა, უცნობია როდის გაათავისუფლებენ აქციებზე დაკავებულ პირებს. აქციების დროს დაღუპულია სულ მცირე 517 მომიტინგე.

## ზიმბაბვე რუსეთის ახალი სავაჭრო პარტნიორი ხდება



აფრიკული ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი კრისტოფერ მუცვანგა აცხადებს, რომ ზიმბაბვე მზად არის, რუსეთს ხილი, ბოსტნეული, თხილი, ჩაი და ყავა და თამბაქო მიაწოდოს.

**„რუსეთთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი სფეროა ხილი და ბოსტნეული. ჩვენ გვაქვს ბევრი ტროპიკული ხილი, ტკბილი ფორთოხალი, რომელიც შეგვიძლია მივაწოდოთ რუსეთს. ჩვენ გვაქვს მსოფლიოში საუკეთესო კლიმატი, სადაც შეგვიძლია, ვაწარმოოთ ნებისმიერი საკვები. გვაქვს ნაყოფიერი ნიადაგი და საკმარისი წყალმომარაგება, რაც მოგვცემს საშუალებას გავხდეთ მნიშვნელოვანი მოთამაშე ბოსტნეულისა და ხილის ბაზარზე. გარდა ამისა, გვაქვს თხილი, ჩაი და ყავა. ზიმბაბვეს ასევე აქვს განვითარებული თამბაქოს ინდუსტრია, ჩვენ ვართ ლიდერები მსოფლიოში, ჩვენი თამბაქო ძალიან პოპულარულია. ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ რუსეთთან ერთად ამ სექტორში“,** – განაცხადა მუცვანგამ.

## რეკორდსმენი სერიალი



**სერიალმა „უკანასკნელი ჩვენგანი“ მაყურებელთა რაოდენობით „დრაკონის სახლს“ გაუსწრო,** – ამის შესახებ The Hollywood Reporter-ი HBO-ზე დაყრდნობით წერს, რომელმაც ორივე შოუ გამოუშვა.

„უკანასკნელ ჩვენგანი“ აუდიტორიამ 30,4 მილიონი მაყურებელი შეადგინა, „დრაკონის სახლს“ კი 29 მილიონმა ადამიანმა უყურა. ეს მაქსიმალური მაჩვენებელია HBO-ს პროექტებისთვის „სამეფო კარის თამაშების“ ფინალური სეზონის შემდეგ (44 მილიონი მაყურებელი). „უკანასკნელი ჩვენგანი“ ამავე სახელწოდების ვიდეოთამაშის ეკრანიზაციაა. მთავარ როლებს შოუში პედრო პასკალი და ბელა რამსი ასრულებენ.

## სამეული ლიდერობისთვის იბრძვის

**სან-დიეგოში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის ლიდერების შეხვედრა გაიმართა, რომელზეც სამ ქვეყანას შორის წყალქვეშა ნავების შესახებ შეთანხმების დეტალები გასაჯაროვდა. სამმხრივი შეთანხმების ფარგლებში, აშშ ავსტრალიისთვის, სულ მცირე, სამ ბირთვულ წყალქვეშა ნავს ააგებს. მოკავშირეები ასევე იმუშავებენ ერთად ახალი ფლოტის შექმნაზე მოწინავე ტექნოლოგიების, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში „როლს როისის“ მიერ დამზადებული რეაქტორების გამოყენებით.**




აშშ-ის, ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის შეთანხმება მიმართულია ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის გავლენისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. სან-დიეგოში სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ხაზი გაუსვა, რომ წყალქვეშა ნავები არ იქნება აღჭურვილი ბირთვული იარაღით და საფრთხეს არ შეუქმნის ავსტრალიის გადაწყვეტილებას, იყოს არაბირთვული ქვეყანა.

ჯო ბაიდენის, რიში სუნაკისა და ენტონი ალბანიზის მიერ გასაჯაროებული შეთანხმების მიხედვით, მიმდინარე წლიდან ავსტრალიის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების წევრები განთავსდებიან ამერიკულ და ბრიტანულ საზღვაო ბაზებზე, რათა შეიძინონ წყალქვეშა ნავების გამოყენებისთვის აუცილებელი უნარები. 2027 წლიდან აშშ და ბრიტანეთი დასავლეთ ავსტრალიაში, პერტში განათავსებენ მცირე რაოდენობის წყალქვეშა ნავებს, ვიდრე ავსტრალია ამერიკისგან შეიძენს სამ წყალქვეშა ნავს 2030-იანი წლების დასაწყისში, დამატებით ორი ნავის შეძენის შესაძლებლობით.

## ტელეტაბიებიანი ჩექმები

**ტანსაცმლის ბრენდმა Christian Cowan საბავშვო ტელეშოუ „ტელეღიპუცებთან“ კოლაბორაცია წარადგინა. კოლექციაში შევიდა მაისურები, ჯინსები და ჰუდები პროგრამის პერსონაჟების გამოსახულებით. თუმცა ყველაზე უჩვეულო პროდუქტი აღმოჩნდა ჩექმები ტელეღიპუცა დიფსის ფიგურით.**



ამ წარდგინებას ბრენდი თვითონაც იუმორით მიუდგა. Christian Cowan-ის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა ფოტო, რომელზეც ენ ჰეთუეის გმირს ფილმიდან „ეშმაკს აცვია Prada“ დიფსის ჩექმები აცვია. ტელეღიპუციანი ჩექმების ფასი 2 500 დოლარი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5867; ევრო - 2.7520;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1234;
100 რუბლი - 3.4311; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5206;
1000 სომხური დრამი - 6.6498

**ამინდი 16 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge